პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ხუთშაბათი, 8 ივნისი 1933 წ.

№ 130 (3686)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბამბის ნათესების გათოხნა-დამუშავების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ

(საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება)

მიუხედავად საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მიერ მიცემულ მითითებებისა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუშაობის თავის დროზე გაშლას ბამბის ნათესების გათოხნა - დამუშავების კამპანიის ჩატარებისათვის. ეს კამპანია მიმდინარეობს დაუშვებელი ნელი ტემპებით, ხოლო ზოგიერთ რაიონებში (შამხორის, გეოკჩაის, ბორჩალოს, კურდუკულონსკის რაიონები) ადგილი აქვს მთელ რიგ გარღვევებს, რაც მოწმობს იმას, რომ მებამბეობის რაიონების პარტიული ორგანიზაციებითესვის შემდეგ ბოლშევიკურად ვერ გადავიდენ ბამბის ნათესების დამუშავებაზე.

არც ერთ რესპუბლიკას არ შეუსრულებია ვადაზე პირველი გათოხნა და გამოხშირვა.

ამავე დროს ბამბის ნათესების დამუშავების ტემპების საერთო ჩამორჩენასთან ერთად, მთელ რიგ რაიონებში დაბალია მუშაობის ხარისხი და არ არის შესრულებული სავალდებულო აგრო-წესები. ალაგ-ალაგ გათოხნა სწარმოებს მთლიანად მწკრივებში და მწკრივებს შორის კულტივაციის და დანებიან კულტივატორების გამოუყენებლად.

მთელ რიგ რაიონებში ადგილი არა აქვს სისტემატიურ კონტროლს და კონკრეტულ ხელმძღვანელობას კოლმეურნეობების და საკოლმეურნეო ბრიგადების მიმართ, გეოკჩაის რაიონში სამუშაოდ გამოდის შრომის უნარიანთა არაუმეტეს 50—60 პროცენტისა, მუშაობას აწარმოებს მთელი ბრიგადაერთად თავმოყრილი, ისე, რომ არ ეძლევა ინდივიდუალური დავალებანი კონკრეტულ შემსრულებლებს და არ აცნობენ მათ გამომუშავების მტკიცე ნორმებს, სამუშაოთა რაოდენობის და ხარისხის აღრიცხვა დაყენებულია ძალზე არადამაკმაყოფილებლად. საბირაბადის რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობაში ბრიგადებს არ ეძლევათ ყოველდღიური დავალებანი, რის შედეგადაც ერთი დღის განმავლობაში (16 მაისს) ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში პირველი ბრიგადის 42 კაცმა გათოხნა 1.7 ჰექტარი, ხოლო მეორე ბრიგადის 22 კაცმა — 3,6 ჰექტარი. დაახლოებით ასეთივე სურათს აქვს ადგილი სტალინისის სახელობის კოლმეურნეობაში (ბორჩალოს რაიონი) და სხვ.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილი სერიოზული გარღვევები ბამბის ნათესების დამუშავების კამპანიის მიმდინარეობაში წარმოადგენს რაიონული პარტიული ორგანიზაციების, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და რაიმიწგანების სუსტი მუშაობის და ხელმძღვანელობის შედეგს.

თესვის დამთავრების შემდეგ პარტიის მთელი რიგი რაიკომები დაკმაყოფილდენ მიღწეული შედეგებით და მათ ვერ უზრუნველყვეს კოლმეურნე მასების და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეების მობილიზაცია; საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მიერ ბამბის დამუშავების კამპანიის ჩატარების შესახებ; მიღებულ გადაწყვეტილებების რეალიზაციისათვის.

ზემოაღნიშნულის გამო საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი ადგენს:

1. დაევალოს მებამბეობის რაიონების ყველა პარტიულ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ჩამორჩენა ბამბის ნათესების დამუშავების მიმდინარეობაში, და უზრუნველჰყონ მუშაობის მაღალი ხარისხი და სავალდებულო აგროწესების უეჭველი შესრულება დაწესებულ ვადებში.

2. პარტიის რაიკომებმა და სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო ბრიგადებზე, დააწესონ სასტიკი კონტროლი და დიფერენცირებული ხელმძღვანელობა, მიიღონ კოლმეურნეობების შრომის უნარიანი წევრების 100 პროცენტით გამოსვლა სამუშაოზე, ბრიგადებისათვის ყოველდღიურ მტკიცე დავალების მიცემა, გამომუშავების ნორმების და დავალება — აგრო-განრიგის დაყვანა ბრიგადის ყოველ წევრამდე და ბრიგადის რგოლამდე.

დაწესდეს ყოველდღიური კონტროლი ყოველი ბრიგადის, რგოლის და ცალკე კოლმეურნის მუშაობის რაოდენობაზე და ხარისხზე, და გაიშალოს ერთი მუშაობა საუკეთესო ბრიგადის, რგოლის და კოლმეურნეთა წასახალისებლად. ამასთან ერთად წარმოებული იქნეს გადამწყვეტი ბრძოლა ზარმაცების და საბოტაჟნიკების წინააღმდეგ.

3. აღნიშნავს რა პარტიის რაიკომების არა საკმაო ყურადღებას და ხელმძღვანელობის სისუსტეს გათოხნის მიმდინარეობაზე ერთპიროვნულ სექტორში, საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი ავალებს რაიკომებს და უჯრედებს გადაჭრით გააუმჯობესონ ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეობებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის ხარისხი და აღმოფხვრან მათი ჩამორჩენა გათოხნის მიმდინარეობაში.

4. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების ცენტრ. კომიტეტებს შეამოწმონ რაიონებზე მიმაგრებულ პასუხისმგებელ მუშაკთა მუშაობა, გადასინჯონ და განამტკიცონ მათი შემადგენლობა და რაიკომების მდივნებთან ერთად, გახადონ ისინი პასუხისმგებელნი ბამბის ნათესების დამუშავებაში ჩამორჩენის სასწრაფოდ აღმოფხვრისთვის.

ამხ. ბაგიროვმა და სულთანოვმა პირადათ შეამოწმონ ბამბის ნათესების დამუშავების მიმდინარეობა და ხარისხი აზერბეიჯანის გადამწყვეტ რაიონებში.

5. საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი მოითხოვს მებამბეობის რაიონების პარტიის რაიკომებისა და სამანქ.-სატრ. სადგურებისაგან უყოყმანოდ შეასრულონ საკ. კ. პ. (ბ) ცკას 17 მაისის დადგენილება „ბამბის და ჭარხლის დამუშავების და აღების შესახებ", სასწრაფოდ გამოასწორონ დაშვებული შეცდომები და დეფექტები ბამბის ნათესების დამუშავებაში სოფლად მასიური - პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაშლის საფუძველზე.

## გავშალოთ საკავშირო შეჯიბრება პირველობაზე მოსავლის აღების და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების საქმეში

გუშინ ჩვენ გამოვაქვეყნეთ დნეპროპეტროვსკის ოლქის მოწინავე კოლმეურნეობათა ბრიგადირების შეკრების დადგენილება. მისი შინაარსიდან ჩანს, რომ დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტი ბოლშევიკურად შეუდგა მის მიერ პურის დამზადების საკითხში დაშვებულ უხეშ პოლიტიკური შეცდომის გამოსწორებას. როგორც ჩვენ უკვე ვწერდით (იხ. 3 ივნისის „პრავდა") დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მან კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებათა პირველ რიგში შესრულებისათვის ბრძოლის გაჩაღების ნაცვლად, დასახა ამოცანა— პირველ რიგში, პურის დამზადების გეგმის შესრულებამდე, მოამარაგოს პურით კოლმეურნეები „საკმაოდ" 2—3 თვით ადრე".

მას შემდეგ, რაც საკ. კ. პ. (ბ) ცეკამ და ამხ. სტალინმა გადაჭრით დაგმეს დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის ეს პოზიცია და საქციელი, მან აღიარა თავისი შეცდომები. საოლქო კომიტეტმა თავის ამოცანად დაისახა, რომ დნეპროპეტროვშჩინამ წელს უკრაინაში ყველაზე უწინ შეასრულოს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა. ამ გადაწყვეტილებას, როგორც ეს ჩანს გუშინ გამოქვეყნებული დოკუმენტიდან, სავსებით დაუჭირეს მხარი ოლქის მოწინავე კოლმეურნეობათა წარმომადგენლებმა, რომლებმაც თავისი კოლმეურნეობების სახელით იკისრეს შეასრულონ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების წლიური გეგმა არა უგვიანეს 15—20 აგვისტოსა.

დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მიერ მოცემული დაპირება შესრულებულ უნდა იქნას. „ბოლშევიკის სიტყვა—სერიოზული საქმეა. ბოლშევიკებს სჩვევიათ იმ დაპირებების შესრულება, რომლებსაც ისინი იძლევიან" (სტალინ).

დნეპროპეტროვსკის პარტიული ორგანიზაციის და ოლქის მოწინავე კოლმეურნეობების მიერ ნაკისრები ვალდებულება ახალ სტიმულს აძლევს რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების შეჯიბრებას კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

შეჯიბრების პირველი ტური — ბრძოლა თესვის უკეთ ჩატარებისათვის უკვე მთავრდება. ამ პირველ ტურში თათართა რესპუბლიკამ მოიგო საკავშირო პირველობა. შუა ვოლგამ გაიმარჯვა ცენტრალურ შავმიწიდაგიან ოლქზე. მოსკოვის ოლქმა მიიღო პირველობა გორკის მხარესთან შეჯიბრებაში, ყირიმმა მოუგო დნეპროპეტროვსკის ოლქს, ყაბარდო-ბალკარეთმა - ჩერქეზეთს, დასავლეთ ციმბირი უდაოდ გამოდის გამარჯვებული ურალთან შეჯიბრებაში, ბელორუსია წინ უსწრებს დასავლეთ ოლქს, რომელიც მას შეჯიბრებაში ყავს გამოწვეული. შეჯიბრებაში ჩაბმული მხარეებისა და ოლქებიდან საკმაოდ არ არის გამორკვეული მხოლოდ, შეჯიბრების შედეგები ჩრდილოეთ-კავკასიასა და შუა ვოლგას შორის. ორივე ამ მხარეში თესვის შესრულების დონე თითქმის ერთიდაიგივეა.

შეჯიბრების მეორე ტური გახსნა. თათართა რესპუბლიკამ. თათართა რესპუბლიკის დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობამ გამოაცხადა ბრძოლა საკავშირო პირველობის მისაღებად სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმების შესრულების საქმეში. თათართა რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ და მთავრობამ იკისრეს საბჭოთა კავშირში პირველად შეასრულონ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების წლიური გეგმა.

თათართა რესპუბლიკის დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის მიერ ნაკისრებ ვალდებულების გამოხმაურებას ეხლა წარმოადგენს დნეპროპეტროვშჩინის ოლქის ბრიგადირთა შეკრების დადგენილება, რომელმაც მოუწოდა ოლქის კოლმეურნეებს იბრძოლონ უკრაინაში პურის ჩაბარების პირველობაზე. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების პირველობაზე შეჯიბრების ამ მეორე ტურში გაფართოვდეს შეჯიბრების ფრონტი, ჩაბმულ იქნან მასში ყველა ან თითქმის ყველა რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები, რაიონები, საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო - სატრაქტორო სადგურები და კოლმეურნეობები.

მასების ასეთი მობილიზაციის ერთერთ ნიმუშს წარმოადგენს კოლმეურნეობათა საწარმოო თათბირი, რომელიც ჩაატარა ოდესის ოლქის ვესელო-კუტსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურმა. საკოლმეურნეო აქტივის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად გამოირკვა ისეთი მომენტები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მოსავლის აღების კამპანიისათვის.

უწინარეს ყოვლისა გამოირკვა, რომ გაჭიანურდა მარცვლეული კულტურების მეორე გათოხნა, ვინაიდან როგორც თათბირზე ამბობდენ, „წვიმები და თბილი ამინდი ძლიერ ზრდის პურს, მაგრამ სწრაფად იზრდება სარეველა ბალახიც".

ვესელო-კუტსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწინავე კოლმეურნეებმა უკვე დაიწყეს მარცვლეული კულტურების მეორე გათოხნა. ამ ინიციატივის მნიშვნელობა მეტად დიდია იმიტომ, რომ იგი არ დარჩენილა მარტო მოწინავე კოლმეურნეობათა წრეში, არამედ ცნობილი გახდა ყველა კოლმეურნეობისათვისაც.

მეორე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც გამოაშკარავდა თათბირზე, ეხება საანეულო ხვნის კამპანიას. გამოირკვა, რომ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში ძლიერია ასეთი განწყობილებანი: „საანეულო ხვნა მოესწრობა. დე ჯერ ცხენებმა იბალახონ, შემდეგ ბალახს მოვთიბავთ, ხოლო შემდეგ კი ანეულის მოხვნასაც შევუდგებით". ეს საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა არა მარტო ვესელო-კუტსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოქმედების რაიონში და არა მარტო ოდესის ოლქში. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ მოწინავე კოლმეურნეთა ბრძოლას ასეთ განწყობილებათა წინააღმდეგ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საანეულო ხვნის კამპანიის წარმატებისათვის. აქვე გამოირკვა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობებში კმაყოფილდებიან მხოლოდ ანეულის მოხვნით, არ ფარცხავენ მას და სისტემატიურად არ წმენდენ სარეველა ბალახებისაგან.

სარგებლობა ასეთი საანეულო ხვნისაგან ცოტაა; კიდევ მეტი, იგი იქცევა სარეველა ბალახების კერად. მოწინავე კოლმეურნეთა ყურადღების და აქტივობის მობილიზაციას ამ დეფექტებთან ბრძოლაში, რომლებიც აგრეთვე ახასიათებენ არა მარტო ვესელო-კუტსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის რაიონის კოლმეურნეობებს და არც მარტო ოდესის ოლქს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასიური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის სოციალისტური მიწათმოქმედების მაღალი ხარისხის მისაღწევად. სხვადასხვა რესურსების საბოლოოდ გამოანგარიშების შემდეგ, მოსავლის აღების ორგანიზაციაში მოწინავე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მიერ მოპოვებული გამოცდილების გათვალისწინების შემდეგ, ვესელო-კუტსკის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის საწარმოო თათბირი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყველა საკოლმეურნეო მარცვლეული ნათესები სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოქმედების რაიონში მთლიანად შეიძლება აღებულ იქნას 14 დღეში, ხოლო გალეწვა მთლიანად დამთავრდეს 30 დღეში. ეს გამოანგარიშება, რომელიც საკოლმეურნეო აქტივთან ერთად ჩატარდა, წარმოადგენს საუკეთესო კონკრეტულ საფუძველს სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის. და შემთხვევითი არ არის, რომ იქვე, თათბირზე, ეს შეჯიბრება გაჩაღდა, კოლმეურნეობა „ბედნიაცკოე"-მ იკისრა ვალდებულება პირველმა დაამთავროს სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მოქმედების რაიონში; სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა. მასთან შეჯიბრებაში ჩაება კოლმეურნეობა „სოციალისტიჩესკაია რეკონსტრუქცია", რომელმაც პურის დამზადების წლიური გეგმის შესრულების ზუსტ ვადად გამოაცხადა 20 აგვისტო. შემდეგ შეჯიბრებაში ჩაება კოლმეურნეობა „აგროკომუნა" და სხვ.

ვესელო-კუტსკის პოლიტგანყოფილების დამსახურება, როგორც ეს ამას წინად აღვნიშნეთ, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან გამონახა მოწინავე კოლმეურნეობების და კოლმეურნეების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის მობილიზაციის ახალი შესაფერი ფორმა მაღალი მოსავლისათვის, საკოლმეურნეო მუშაობის ახალი ხარისხისათვის ბრძოლის ახალ ეტაპზე. უეჭველი ყურადღების ღირს მრავალრიცხოვან წინადადებათა შორის, რომლებითაც დამკვრელი კოლმეურნენი ამ საწარმოო თათბირზე გამოდიოდენ, ზოგიერთი განსაკუთრებით განირჩევა თავისი პრაქტიკული ხასიათით.

— ნუ დაუცდი სანამ მთელი უბანი, მთელი მინდორი მომწიფდებოდეს, არამედ მომკე მაშინათვე იქ, სადაც უკვე მზადაა, თუნდაც ეს მხოლოდ ერთი ჰექტარი იყოს.

— ძნებად შეკარი მთელი პური, მაგრამ შეკვრის დროს ნუ დაუშვებ, რომ წმინდა ხარისხოვანი თესლი შემდეგ დანაგვიანდეს; სახვევი სუფთა ჩალისაგან გააკეთე, წინასწარ მოაცილე მას ღეროები.

— შეაგროვე მაშინვე, აღების დაწყებიდან მეორე დღეზე არა უგვიანეს.

— დაზვინე მხოლოდ ის ნაწილი, რომელსაც დროზე ვერ მიიტან სალეწ მანქანასთან. წინასწარ დასახე ეს ნაწილი.

— დატვირთე ურემი ერთბაშად, სამხედრო წესით, ხოლო იარე ნელა როგორც მეურნემ.

— აღების წინ ცხენები კარგად დაასვენე.

— ავანსები გაეცი სწორად, დაწესებულის 10—15 პროცენტი.

— ზარმაცს და გამცდენს — არავითარი ავანსი.

— მთელი ბრიგადა იცავს საკოლმეურნეო მოსავალს, როგორც თვალის ჩინს.

— ქურდს ნუ მისცემ გასაქანს.

— პურს ანგარიში უყვარს. თვალს ნუ დაუჯერებ: აწონე სალეწ მანქანასთან, აწონე ბეღელში ჩაბარების დროს.

— და, თითქოს ვესელო-კუტსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის რაიონის დამკვრელ კოლმეურნეთა ამ წინადადებების დასამატებლად, დნეპროპეტროვსკის ოლქის მოწინავე კოლმეურნეობათა წარმომადგენლები თავის მხრით აყენებენ მთელ რიგ არსებით ღონისძიებებს:

— წაიღე პური ელევატორებზე და სადგურებთან არსებულ პუნქტებში პირველივე გალეწვიდან, პირდაპირ სალეწი მანქანებიდან.

— პირველ რიგში გალეწე ძვირფასი კულტურები და, უწინარეს ყოვლისა, ხორბალი. ხორბლითვე დაიწყე სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება.

— თვითეულ ბრიგადაში გამოყავი რგოლი პურის შეუფერხებლად გასატანად და პურის ჩაბარების გეგმის მთლიანად დამთავრებამდე ნუ დააბანდებ ამ ბრიგადას სხვა სამუშაოზე.

— დაამზადე მსუბუქი ტიპის უტარო გადასაზიდი სამუშაოები, შეაგროვე და შეაკეთე ყველა ტომრები, რომ არავითარ შეფერხებას არ ექნეს ადგილი პურის ჩაბარებაში.

აი კონკრეტული ლოზუნგები კოლმეურნეობათა ყველა საუკეთესო ძალების მობილიზაციისათვის აღების და პურის ჩაბარების წარმატებით ჩასატარებლად, მასიური შეჯიბრების განსავითარებლად. ეს ლოზუნგები, რა თქმა უნდა, ვერ მოიცავენ დაწყებულ და წინამდებარე სამუშაოთა ყველა მხარეებს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოსავლის აღებას და პურის ჩაბარებაში საკავშირო პირველობის მოსაპოვებლად დაწყებულ შეჯიბრებაში პარტიული ორგანიზაციები და პოლიტგანყოფილებანი მთელ ძალ-ღონეს მოიკრეფენ, რათა ღირსეულად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ „ბოლშევიკის სიტყვა—სერიოზული სიტყვაა".

(„პრავდა"-ს 7 ივნისის შემოკლებული მოწინავე წერილი)

## საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის 13 წლის თავი

## მისალმებანი

სტალინირი — საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. ჟვანიას;

სამხრეთ - ოსეთის ცაკის თავმჯდომარეს — ამხ. ძატიევს;

**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე, ბოლშევიკურ სალამს უძღვნის სამხრეთ-ოსეთის მუშებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ცამეტი წლის თავზე და გამოსთქვამს რწმენას, რომ კომუნისტური პარტიის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით სამხრეთ - ოსეთის მშრომელნი მიაღწევენ შემდგომ, კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს სამეურნეო და ნაციონალურ - კულტურულ მშენებლობის ფრონტზე.**

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

სტალინირი, საოლქო კომიტეტი— ამხ. ჟვანიას

სამხრეთ - ოსეთის ცაკი — ამხ. ძატიევს

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების ცამეტი წლის თავზე ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭო მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის სამხრეთ-ოსეთის პროლეტარიატს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელთ, რომლებმაც არა ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს მსოფლიო კაპიტალის აგენტ - მენშევიზმთან ბრძოლის ისტორიაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების საფუძველზე სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში. ფართოდ გაშლილია საკვლევა-ძიებო მუშაობა, რომლის საშუალებით ხდება ოლქის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოვლინება, შენდება ახალი ქარხნები და ფაბრიკები, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი, ახალი გზები, რომლებმაც სრულიად შესცვალეს მხარის ეკონომიკა და ცხოვრება. უდიდესი წარმატებებია მიღწეული კულტურულ ფრონტზე, სულ უფრო და უფრო ვითარდება ფორმით ნაციონალური, შინაარსით პროლეტარული კულტურა. ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭო გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი საკ. კ. პ. (ბ) ცკას და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით გაორკეცებული ენერგიით გაშლიან მუშაობას მეორე ხუთწლედის პირველი წლის ამოცანების შესრულებისათვის და მოწინავე რიგებში იბრძოლებენ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

გაუმარჯოს სამხრეთ-ოსეთის ცამეტი წლისთავს!

გაუმარჯოს საქართველოს სს რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას — ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ნიმუშს!

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავ-რე — გ. მუსაბეკოვი

სტალინირი, საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტს

სამხრეთ - ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 13 წლის თავზე, საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი, ტფილისის მუშათა კლასის და მშრომელთა სახელით მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის სამხრეთ - ოსეთის მუშებს, კოლმეურნეებს და მშრომელ გლეხობას.

სამხრეთ - ოსეთის მშრომელებმა, რომლებმაც მენშევიკებისა და მათი დამქაშებისაგან განიცადეს დარბევა და უმაგალითო სისხლიანი ტერორი, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გმირული ბრძოლის ისტორიაში.

სოციალიზმის მშენებლობის 13 წლის განმავლობაში, სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა, რომელნიც განუხრელად ანხორციელებდენ ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკას, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელობით სავსებით აღმოფხვრეს მენშევიკური მემკვიდრეობა და ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობის და ერთიანობის საფუძველზე გადამწყვეტ წარმატებებს, მიაღწიეს სამეურნეო მშენებლობის და სამხრეთ - ოსეთის მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

იზრდება და მაგრდება სამხრეთ-ოსეთის ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურა, იქმნება სოციალიზმის მშენებელთა კადრები ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ხორციელდება მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადის — ამხ. სტალინის ისტორიული მითითებანი კოლმეურნეობების ნამდვილი ბოლშევიკური, ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცების შესახებ.

ტფილისის კომიტეტი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სამხრეთ - ოსეთის პარტორგანიზაცია, რომელიც სათავეში უდგას მუშების, კოლმეურნეების და მშრომელი გლეხობის შემოქმედებითი ენთუზიაზმს, განუხრელად იბრძოლებს ორ ფრონტზე, ჩაახშობს პროლეტარიატისადმი მტრული მომაკვდავი კლასების ნაშთებს და საქართველოს კომპარტიის ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს მიაღწევს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

გაუმარჯოს საბჭოთა სამხრეთ-ოსეთს!

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტს და საკ. კ. პ. (ბ) ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტს, ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას.

გაუმარჯოს ამიერ - კავკასიის და საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო ინტერნაციონალურ ძმობას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს — ამხ. სტალინს!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანი—მელაძე.

### კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლიუციურ სამხედრო საბჭოსაგან

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლიუციური სამხედრო საბჭო სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 13 წლისთავზე მხურვალე სალამს უძღვნის სამხრეთ-ოსეთის მუშებს, კოლმეურნეებს და მშრომელ მასებს.

რევოლიუციური სამხედრო საბჭო გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ საბჭოთა სამხრეთ-ოსეთი შემდეგშიაც იქნება სოციალისტ- მის ქვეყნის თავდაცვის მტკიცე ციხე-სიმაგრე.

გაუმარჯოს საბჭოთა სამხრეთ-ოსეთს.

გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას — საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ხელმძღვანელს-

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლიუციური სამხედრო საბჭო. — სმოლინი, შიშერსი

## საქ. ნავთი

### ნავთის მძლავრი შადრევანი მირზაანში

წითელი - წყარო, 6 ივნისი. 4 ივნისს, გათენებისას კომკავშირის სახელობის ხარე წალებზე (უოფ. მირზაანი) ჭაბურღილიდან № 82 ამოხეთქა ნავთის მძლავრმა შადრევანმა. შადრევანი კვლავ განახლდა 5 ივნისს. მუშაობა ჭაბურღილზე დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო. (ადს).

## სამხრეთ-ოსეთი და საბჭოთა ხელისუფლება

(სამხრეთ - ოსეთის აჯანყების მეცამეტე წლის თავისთვის)

ოსეთის ხალხს, მიკრულს კავკასიონის მთების კალთებზე თუ დამწყვდეულს ამ მთებისვე ღრმა ხეობებში, მთელი საუკუნეების განმავლობაში გარდა შევიწროებისა, შეურაცყოფისა და ტანჯვისა არა უნახავს რა. ამ ხალხის წარსული—ესაა უზომო და შეუწყვეტელი ტანჯვის და გაჭირვების ისტორია. ამასთანავე მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ ოსეთის მშრომელი გლეხობა ნებაყოფლობით არ ემორჩილებოდა თავის მტანჯველებს და მტარვალებს. ფეოდალურ მებატონეების მძიმე უღლის და მათრახის ქვეშ იგი თითქმის განუწყვეტლივ გმინავდა, ღელავდა და არა იშვიათად ახდენდა აჯანყებებს ამ უღლიდან განთავისუფლების მიზნით. რომ ავიღოთ მარტო მეცხრამეტე საუკუნე,—ეს რუსეთის თვითმპყრობელობის ხანა ა.-კავკასიაში, ოსეთის მშრომელი გლეხობა არა ერთხელ აჯანყებულა თავისი მტარვალების და მჩაგვრელების წინააღმდეგ. მეფის მთავრობის არქივიდან ჩვენ თვალწინ იშლება დღეს მეტისმეტად დამახასიათებელი თავგანწირული ბრძოლა ოსეთის გლეხობისა, რომელიც ტანჯვას მიყავდა რა სასოწარკვეთილებამდე, იღებდა ხელში იარაღს, თოფს, ცულს, კეტს. რაც კი მოხვდებოდა, დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ბავში, ქალი თუ კაცი, ყველა ესენი, მოთმინებიდან გამოსულნი ექვეთებოდენ თავიანთ მტანჯველებს.

მაგრამ რას გახდებოდა ერთი მუჭა ოსეთის გლეხობა მთელი ხროვა ფეოდალურ თავადების - მაჩაბლების, ერისთავების და ამილახვრების პირისპირ, რომელთაც ზურგს უმაგრებდა და ეხმარებოდა რუსეთის თვითმპყრობელობა თავისი აუარებელი ჯარებით და მოხელეებით! რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ ყველა ასეთი აჯანყება დამარცხებით თავდებოდა; აჯანყებულების მეთაურებს სასტიკად სჯიდენ, ხვრეტდენ, ახრჩობდენ ან ციმბირში გზავნიდენ. გლეხების მდგომარეობას გაუმჯობესების მაგიერ გაუარესობა მოსდევდა. ასეთი იყო ყველა ამგვარ აჯანყებათა ბედი თვითმპყრობელობის დროს.

დაახლოებით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსობა გარეგნულად თითქო „დამშვიდდა", ე. ი. იგი წინანდებურად აჯანყებებს აღარ აწყობდა. თითქო ყველა დარწმუნებული შეიქნა იმაში, რომ ოსეთის ხალხი შეურიგდა თავის მწარე ბედსო. თავადებმა და მემამულეებმაც ახლა თითქო შესცვალეს თავისი მიდგომა, ე. ი. თავისი პოლიტიკა და ტაქტიკა ოს-გლეხობის მიმართ*) პირველ ყოვლისა ქართველმა მემამულეებმა მიმართეს ახალ ხერხს ოსეთის გლეხობის დასასუსტებლად და, მაშასადამე, მისი ექსპლოატაციის გასაძლიერებლად თავის სასარგებლოდ ეს იყო ოსეთის მოსახლეობის დაქსაქსვა, ამ მიზნით ოსეთის მთელი სოფლების გადასახლება საქართველოს ხვადასხვა დაუსახლებელ ადგილებში. მასთან ქართველი მემამულეები, ასახლებდენ რა ოს-გლეხებს თავის მიწებზე, აიძულებდენ გადმოსახლებულ გლეხებს დაედოთ მათთან ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მემამულეებისათვის ყოველგვარ უპირატეს პირობებს.

ეს იყო უმეტეს შემთხვევაში ეგრედწოდებული ხიზნობის პირობები, რომლის უარყოფითი მნიშვნელობა გლეხობისთვის კარგად ცნობილია. ამავე დროს ქართველი მემამულეები მიმართავენ კიდევ მეორე არა ნაკლებ ეშმაკურ და მუხანათურ ხერხს: ისინი იყენებენ ცალკე ოს-გლეხებს თავიანთ მამულებში მცველებად, ჩაფრებათ უკვე ქართველ ურჩ-მეღალე და მებეგრე გლეხების წინააღმდეგ. ცხადია გასაგებია, რომ შეუგნებელი ოსი-გლეხები ასეთი მოვალეობის ასრულების დროს არა იშვიათად იჩენდენ ზედმეტ სისასტიკეს ან ველურობას ამ შემთხვევაში თავის მოძმეების და ისეთივე დატანჯულ და დაჩაგრულ ქართველ გლეხების მიმართ. რა თქმა უნდა, ეს პირდაპირ შეუგნებლობის ნაყოფი იყო და არა სხვა რამის. ეს გარემოება ახლა იწვევდა შუღლს და მტრობას ოს-გლეხებსა და ქართველ გლეხებს შორის. მაგრამ ოსი- გლეხები იძულებული იყვენ ასე მოქცეულიყვენ ლუკმა-პურის შოვნის მიზნით. ამავე მიზნით ისინი იძულებული ხდებოდენ პოლიციაშიც ემსახურათ, უმეტეს ნაწილად დაბალ თანამდებობაზე, ე. ი. „სტრაჟნიკებად" და ჩაფრებად. ეს ყველაზე უფრო იოლი სამსახური იყო მათთვის, რადგანაც ამისთვის საჭირო არ იყო რაიმე ცოდნა ამ ხელობას სწორედ სრულიად უსწავლელი უფრო შეეფერებოდა. ოსი-გლეხები მიდიოდენ პოლიციაში სამსახურისთვის, ვინაიდან იქ იმათ გაჭირვება ერეკებოდა. ასეთ მდგომარეობაში ხვდება ოსეთის ხალხი 1905 წლის რევოლიუციას. რევოლიუციურმა მოძრაობამ იგი გამოაღვიძა ცოტა ხანს, მაგრამ რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ოსობა ისევ ძველი წესწყობილების გავლენის ქვეშ მოექცა.

მაგრამ 1917 წლის თებერვლის და განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ ოსეთის მშრომელმა ხალხმა, იგრძნო რა თავისუფლება, გადაჭრით მოინდომა ეროვნული თვითგამორკვევის საფუძველზე თავისი ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების და ყოფა-ცხოვრებითი პირობების გაუმჯობესება. და მან კიდევაც გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები ყოველივე ამის განსახორციელებლად. ეს იყო ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისში. ეს ნაბიჯი გადადგა მან სრულიად დამოუკიდებლად. მაგრამ ერთი რამ დაივიწყა მაშინ ოსეთის ხალხმა. ეს ის, რომ იმ დროს საქართველოში მთავრობას სათავეში ედგა **მენშევიკების პარტია**. ოსეთის ხალხმა როგორღაც არ გაუწია ანგარიში ამ გარემოებას, ვინაიდან იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ მენშევიკები არ წავიდოდენ იმათ ინტერესების წინააღმდეგ. მაგრამ ოსეთის გლეხობა ამაში სასტიკად მოსტყუვდა. შემდომმა ამბებმა ყველას აშკარად დაანახვეს, რომ მენშევიკების მთავრობა ბევრით არაფრით განსხვავდებოდა მეფის მთავრობისაგან როგორც თავისუფლების, ისე ეროვნული უმცირესობათა დევნის საქმეში. პირიქით, პირველი, ე. ი. მენშევიკების მთავრობა ბევრად უფრო დაუნდობელი გამოდგა და ყოველივე ამაში იგი აჭარბებდა კიდევაც მეფის მთავრობას. მენშევიკების მთავრობამ ჩქარა მიიღო სამხედრო ზომები სამხრეთ-ოსეთის ხალხის დასასჯელად, ანუ როგორც მენშევიკების ბელადები ამბობდენ, „ჭკუის სასწავლებლად". და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ოსეთის ხალხმა მოინდომა თავის ენაზე საქმის წარმოება და სკოლებში დედაენაზე ბავშების სწავლება. მენშევიკები ამას ვერ ითმენდენ. მიუხედავად იმ დარბევისა და დასჯისა, რაც მენშევიკების მთავრობამ მიაყენა მაშინ ოსებს, ეს უკანასკნელები მაინც არ იღებდენ ხელს თავის კანონიერ მისწრაფებაზე. ისინი ყოველ ხელსაყრელ დროს მეცადინეობდენ თავის სურვილის განხორციელებას. უკანასკნელი ცდა მენშევიკების დროს იმათი მხრით იყო 1920 წელს ივნისის თვეში. ოსეთის ხალხმა იარაღის საშუალებით გამორეკა სამხრეთ-ოსეთიდან მენშევიკების აგენტები. **გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება** და შეუდგა საჭირო ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას. გაიგო თუ არა ეს ამბავი მენშევიკების მთავრობამ, მან მაშინვე გადასწყვიტა ოსობისათვის ბოლოს მოღება. ახლა საკითხი იდგა უკვე არა ურჩი ოსობის დამარცხებაზე და დასჯაზე, არამედ მის **ფიზიკურად მოსპობაზე**. ცეცხლით და მახვილით მოედვენ მენშევიკების მთავრობის ბანდები ვ. ჯუღელის მეთაურობით მთელი სამხრეთ ოსეთს, მთელი ეს კუთხე დაცალიერდა, განადგურდა. ვინც გადარჩა, თავი შეაფარა ან ტყეს ან გადაიხვეწა ჩრდილოეთ კავკასიაში. მენშევიკების მთავრობამ გადასწყვიტა ოსეთიდან გადასახლება. ყველა ოსის, თუ კი ვინმე იმათგანი იქ კიდევ დარჩებოდა და იმათ მაგიერ სამხრეთ - ოსეთში ქართველების დასახლება. ეს იყო პირდაპირ ვერაგული და ყოვლად აღმაშფოთებელი ღონისძიება ოსეთის ხალხის წინააღმდეგ. როგორც ვთქვით მენშევიკებმა ამ მხრით ბევრათ გადააჭარბეს რუსის მტარვალი მეფის მთავრობასაც. და თუ რგით მენშევიკების მთავრობას არ მოღებოდა ბოლო ცოტა ხნის განმავლობაში, დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ იგი სავსებით განახორციელებდა ამ თავის შავ განზრახვას. მაგრამ როგორც ვიცით, ამას შემდეგ მენშევიკების მთავრობამ იარსება სულ 6—7 თვე. ასე, რომ მას აღარ მიეცა შესაძლებლობა თავისი ბარბაროსული გადაწყვეტილება მოეყვანა სისრულეში. ჩვენ ვიცით რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ იხსნა დაღუპვისაგან ოსეთის ხალხი. სამხრეთ-ოსეთი გამოცხადებულ იქნა ავტონომიურ რესპუბლიკად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფარგლებში ეროვნული თვითგამორკვევის მტკიცე საფუძველზე თანახმად ლენინური **ნაციონალური პოლიტიკისა**. სამხრეთ - ოსეთის ხალხს მიენიჭა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი თავის შინაურ საქმეებში. იგი სრული ბატონ-პატრონია თავისი საქმეების გადაწყვეტაში. საბჭოთა საქართველო ისე, როგორც საბჭოთა ა.-კავკასია და საერთოდ მთელი საბჭოთა კავშირი სამხრეთ - ოსეთის მშრომელებს უდიდეს დახმარებას უწევენ თავის საქმეების უკეთესად მოგვარებაში. აქ მე არ შემიძლია შევჩერდე იმ მიღწევებზე, რომლებიც მოიპოვეს სამხრეთ - ოსეთის მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს. ეს ყველამ კარგად იცის. რა თქმა უნდა, ეს კიდევ საკმარისი არაა. გასაკეთებელი ბევრი გვაქვს კიდევ სამხრეთ-ოსეთში. მაგრამ საყურადღებოა ის, რაც აქამდის გაკეთდა, რადგანაც სამხრეთ-ოსეთი მიწასთან იყო გასწორებული მენშევიკების მიერ ამ 10—12 წლის წინედ.

რა იყო და რა არის დღის სამხრეთ-ოსეთი? სამხრეთ-ოსეთის ხალხი, ის როგორც მრავალი სხვა დაჩაგრული და დაღუპვის კარამდე მიყვანილი ხალხი მეფობის დროს, იხსნა სიკვდილისაგან საბჭ. ხელისუფლებამ. აი თავი და თავი, რაც საყურადღებოა და რაც უნდა იცოდეს ყველამ. რომ აღმშენებლობის მხრით სამხრეთ-ოსეთშიაც ბევრის გაკეთება აქამდის ვერ შევსძელით, რომ მრავალი გადაუდებელი ამოცანა ჯერ კიდევ გადაუჭრელია, — ეს სადავო არაა. ბევრი ნაკლი იმის შედეგია, რომ **მომზადებული ხალხი არ გვყოფნის** და მოუმზადებელი ხალხი კი საქმეს აფუჭებს ან შეუგნებლობით ან ბოროტი განზრახვით. აი მთავარი ჩვენი ნაკლი და დეფექტი. ამიტომ გადაუდებელი ამოცანაა პირველ რიგში ამ ნაკლის გამოსწორება და გამოვასწორებთ კიდევაც. საბჭოთა ხელისუფლებას ვერავითარი სიძნელე ვერ დააბრკოლებს, იგი ყველაფერს დასძლევს და გადალახავს. და ეს ასეც იქნება, ვინაიდან „არ არის ისეთი სიძნელე ანუ ისეთი სიმაგრე, რომელსაც ბოლშევიკები (მაშასადამე საბჭოთა ხელისუფლებაც) ვერ დაიპყრობენ" (სტალინი). ამ ღრმა და შეურყეველი რწმენით ვეგებებით ჩვენ სამხრეთ - ოსეთის აჯანყების მეცამეტე [illegible]

ფ. მახარაძე

*) უნდა ვიცოდეთ, რომ ოსეთის ხალხს არ წარმოუშვია თავისი წრიდან თავადაზნაურობა, ასე რომ მას არ ყოლია თავისი საკუთარი მებატონეები და მემამულეები; ამათ როლს იქ ქართველი მებატონეები და მემამულეები ასრულებდენ.

პარტიული მშენებლობა

# საზაფხულო პარტიული სწავლების ქსელი უზრუნველვყოთ კვალიფიციური პროპაგანდისტებით

## გადმოვიტანოთ მოწინავეთა გამოცდილება

თბილისის, საქონლის სადგურის პარტიულმა ორგანიზაციამ შემოდგომა-ზამთრის პარტიული სწავლების ქსელის გაშლისათვის დროულად დაიწყო მუშაობა. პარტკომიტეტის და ცალკე პარტუჯრედების ბიუროების საბრძოლო ამოცანად იქნა დასახული თვითეული მუშისადმი დიფერენციალური მიდგომა და პარტიის წევრთა და კანდიდატთა მარქსისტულ-ლენინურ სწავლებაში 100 პროცენტით ჩაბმა. მუშაობის სათანადოთ გაშლის შედეგად თბილისის სადგურის მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიული სწავლების ქსელის გაშლის და მისი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა.

გეგმის მიხედვით ჩამოყალიბდა პირველდაწყებითი, საკანდიდატო და მიმდინარე პოლიტიკის შემსწავ- [illegible]

...კითხი. სისტემატიურად ხდებოდა განვლილი თემის ათვისების შემოწმება. პოლიტსკოლები ხშირად მუშაობდნენ პარტრაიკომის ჩამოყალიბებულ მეთოდ-ბიუროს მასალებით, მუშა პროპაგანდისტების მომზადების და გადამზადების მიზნით, სადგურის მეურნეობის პარტიულ კომიტეტთან გახსნილია პროპ. სემინარი.

მუშაობაში დადებითი გამოცდილების გაზიარების მიზნით პარტიული კომიტეტი და ცალკე უჯრედები სისტემატიურად ისმენენ პროპაგანდისტების მოხსენებებს მათ მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ და აძლევენ კონკრეტულ მითითებებს არსებულ დეფექტების გამოსწორებისათვის.

პოლიტსკოლებს შორის ფართოდ იყო გამოყენებული შრომის ახალი ფორმები და მეთოდები, სოცშეჯიბრი და დამკვრელობა [illegible]

...პარტიულ-ლენინურ სწავლებას. პროპაგანდისტ ამხ. ქართველიშვილის და გოგეიშვილის ჯერ გაცდენილი იქნა ერთი მეცადინეობა, რისთვისაც მას პარტიულმა კომიტეტმა შესაფერისი პარტიული სასჯელი გამოუტანა. პარტსკოლებში მტკიცე დისციპლინის შექმნის შედეგად გაიზარდა მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების პროცენტი და აქტივობა. საშუალოდ მეცადინეობაზე ესწრებოდა მსმენელთა 95 პროცენტი. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში პოლიტსკოლებში დამუშავდა 32 სა-...

...ეიანი ხაზებდი გაზეთი „სემაფორი" იბრძვის პარტიული სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე დაყენებისათვის, ცალკე კედლის გაზეთებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტ-სკოლების და წრეების შესახებ მოთავსებულ კორესპონდენციებს.

თბილისის სადგურის მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილებას პარტიული სწავლების საკითხში უნდა მიბაძონ ჩამორჩენილმა ორგანიზაციებმა.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა

## სუსტი მუშაობის შედეგად

თბილისის, ამხ. სტალინის სახ. ფეხსაცმელების ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია სუსტად იბრძვის პარტიის წევრთა და კანდიდატთა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის.

შემოდგომა-ზამთრის პერიოდში აქ ჩამოყალიბდა მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი და პირველი დაწყებითი პოლიტსკოლები: ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე. სკოლებში გაერთიანდა 169 კაცი. აქედან პარტიის წევრი 96, პარტკანდიდატი 24 და უპარტიო 49.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის სუსტი მუშაობის შედეგად დღემდე პოლიტსკოლებში ჩატარებულია 19 მეცადინეობა.

ზოგიერთი პროპაგანდისტებს (მაგ. პაპეჩვი) სასხვათაშორისო საქმედ მიაჩნიათ პარტიული სწავლების საკითხი, აცდენენ პოლიტსკოლების მეცადინეობას და ამით შლიან [illegible]

...მძღვანელობა არაა დაინტერესებული როგორ მუშაობს პარტგანათლების ქსელი. მან არ იცის რა თემები იქნა დამუშავებული პოლიტსკოლებში. ფაბრიკაში არაა ჩამოყალიბებული პროპაგანდისტთა სემინარი. პოლიტსკოლები არ არიან უზრუნველყოფილი სათანადო ბინებით და სახელმძღვანელოებით. სახელმძღვანელოების ნაკლებობას განსაკუთრებით განიცდის სომხური პოლიტსკოლები.

ფაბრიკაში გამოდის კედლის გაზეთები მაგრამ ისინი სუსტად იბრძვიან პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის, კედლის გაზეთები თითქმის სრულებით არ აშუქებენ პარტიული განათლების ქსელის მუშაობის საკითხებს.

მოსამზადებელი მუშაობა გაზაფხულის პარტ სწავლების ქსელის გაშლისათვის არაა დაწყებული. საქა- [illegible]

## პოლიტსკოლები და წრეები უზრუნველვყოთ სამეცადინო ბინებით

[illegible] ...ზოგიერთი მიღწევები მოიპოვა.

ზამთრის პერიოდში ჩამოყალიბდა 5 პოლიტსკოლა, რუსულ ქართულ და სომხურ ენაზე, სკოლებში გაერთიანდა 372 კაცი, მათში პარტიის წევრი 70, პარტკანდიდატი 39 და უპარტიო 263.

ზოგიერთი პოლიტსკოლები თავიდანვე ვერ იქნენ უზრუნველყოფილი სათანადო ბინებით და სახელმძღვანელოებით. სკოლების მსმენელებს ხშირად პარტიული სწავლების დღეს უხდებოდათ სამეცადინო ბინების ძებნა. სკოლების მეცადინეობა ხდებოდა კანცელარიაში და საამქროებში ცვლის მუშაობის დროს.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ ვერ შესძლო ყველა საამქრო უჯრედებთან არსებული პოლიტსკოლების მუშაობის იმგვარად დაყენება, რომელიც სათანადოთ უპასუხებდა მათ წინაშე მდგარ ამოცანებს. ამის გამო ზოგიერთი პოლიტსკოლების ხელმძღვანელები უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენდენ პარტიული სწავლების საკითხისადმი. პროპაგანდისტ მალაზონიას დაუდევრობით 4 ჯერ ჩაიშალა პოლიტსკოლების მეცადინეობა, ამის შესახებ ადგილობრივ ორგანიზაციებს არავითარი [illegible] ...თა შორის არ ხდებოდა დადებითი გამოცდილებათა გაზიარება. ფაბრიკაში არაა ჩამოყალიბებული პროპაგანდისტთა სემინარი და სხვ.

მკერავის ფაბრიკა № 2-ის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ ჩამორჩენილ პოლიტსკოლებთან ერთად არიან მოწინავე პოლიტსკოლები, რომლებსაც სანიმუშოდ აქვთ დაყენებული მუშაობა ასე მაგ.: თეთრეულის საამქროს „ა" ცვლის უჯრედთან ჩამოყალიბებულია მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი პოლიტსკოლა. აქ სისტემატიურად სწარმოებს დამუშავებულ თემის ათვისების შემოწმება. პარტიული სწავლების საუკეთესო დამკვრელები ამხ. ქარელიძე, ფაზალოვი, გაბრიელოვი და სხვ. ეს ამხანაგები რამდენჯერმე იქნენ დაჯილდოებულნი პარტიული განათლების ქსელში სანიმუშოდ მუშაობისათვის.

მკერავის ფაბრიკა № 2-ის პარტიულმა ორგანიზაციამ ფართოდ უნდა გამოიყენოს მოწინავე საამქრო უჯრედების პოლიტსკოლების მუშაობის დადებითი გამოცდილება და უნდა შესძლოს თვითეული კომუნისტის მარქსისტულ-ლენინურ თეორიით შეიარაღება.

პარტმუშაკი.

## პარტგანათლების საზამთრო ქსელის მუშაობის შედეგები ჭიათურის რაიონში

(ჭიათურა, ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის პარტ რაიკომმა დროულად გაშალა მოსამზადებელი მუშაობა შემოდგომა-ზამთრის პარტგანათლების ქსელის გაშლისათვის.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში უჯრედის მდივნების და პროპაგანდისტების თათბირზე განხილულ იქნა ორი საკითხი: შემოდგომა-ზამთრის პარტგანათლების ქსელის ამოცანები და პარტგანათლების მეთოდიკის საკითხი. სულ მუშაობდა 88 სასწავლო ერთეული 2.299 მსმენელით, აქედან 16 საკანდიდატო სკოლა, მიმდინარე პოლიტწრე—38, საღამოს საბჭოთა პარტსკოლა—2 ა. შ. გარდა ამისა აქტივის სემინარებში, სხვადასხვა ტიპის კურსებზე და დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმული იქნენ როგორც კომუნისტები აგრეთვე უპარტიო მუშები და კოლმეურნეები. პარტიული განათლების ქსელში სწავლობდა პარტიის წევრი 1012 კანდიდატი—601, უპარტიო 686.

პროპაგანდ. კადრის სიმცირის გამო ზოგან მოხდა სკოლების შემჭიდროვება (კაცხი, კოოპერაცია) საბოლოოდ 88 სასწავლო ერთეულიდან გამოშვებული იქნა 84. რაიკომის ბიურო ყოველთვიურად ისმენდა მოხსენებას პარტგანათლების ქსელის მუშაობის შესახებ.

ზემდგომი პარტიული ორგანოების დადგენილების თანახმად პასუხისმგებელი ამხანაგები გამოყენებული უნდა იყვნენ საპროპაგანდო სამუშაოებზე, ჭიათურის რაიონის სინამდვილეში ეს დირექტივა განხორციელებული არ არის.

წინა წელთან შედარებით თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი. პროპაგანდისტთა სემინარი რომელიც იწვეოდა თვეში 3 ჯერ, იხილავდა საპროგრამო მეთოდურ საკითხებს. ორჯელ ჩატარდა პარტგანათლების ქსელის მასიური შემოწმება.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას მიერ მოცემული საკონტროლო ციფრი პოლიტსკოლებში გაერთიანებული უნდა ყოფილიყო 2.198 კაცი. ფაქტიურად გამოშვებული იქნა 2.111 მსმენელი აქედან პარტიის წევრი 1038, კანდიდატი 477 და უპარტიო 596. გეგმა შესრულებულია 96 პროც.

ამ მიღწევებთან ერთად პარტგანათლების ქსელის მუშაობას ახასიათებდა მთელი რიგი დეფექტები: სოფლის პროპაგანდისტები სისტემატიურად არ ესწრებოდენ სემინარებს. სკოლები არ იყო უზრუნველყოფილი ლიტერატურით. საკანდიდატო და დაწყებითი სკოლების სახელმძღვანელოები დაგვიანებით და ამასთანავე მცირე რაოდენობით იქნა მიღებული. ზოგიერთ უჯრედებში ადგილი ქონდა პარტგანათლების ოპორტუნისტულ შეუფასებლობას.

ჭიათურის რაიონის პარტორგანიზაციამ ამ დეფექტების გამოსწორების საფუძველზე უნდა უზრუნველყოს საზაფხულო პარტგანათლების ქსელის წარმატებით გაშლა და სკოლებში მეცადინეობის ხარისხის გაუმჯობესება.

რ. ფალავანდიშვილი



ტფ. ტრამვაის სახელოსნოს მოწინავე კომკავშირელები ამხ. თევდორაშვილი და ელიავი, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ პარტიულ სწავლებაში

# ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნე-მეურნეები და ერთპიროვნული მეურნეები იძლევიან სესხის გავრცელების დამკვრელურ მუშაობის მაგალითს

## ბოგდანოვკის რაიონი—საკავშირო პრემიის კანდიდატი.

[illegible]

## ტყიბულის მაღაროების მუშებმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს

[illegible] ...სესხის გავრცელების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

მაღაროებში მუშაობს სულ 1648 მუშა. 5 ივნისისათვის სესხზე მოწერილი ქონდა ხელი 1.408 კაცს 195.000 მანეთის რაოდენობით, რაც შეადგენს გეგმის 105 პროც.

ხელის მოწერა გრძელდება.

გ. მერკვილაძე

## ტფილისის რაიონი შემოწმებაზე

შემნახველ სალაროების ცენტრალურმა სამმართველომ და ტფილისის შემნახველ სალაროების სამმართველომ გამოყვეს ბრიგადები, რომლებსაც დავალებული აქვთ თბილისის წარმოება-დაწესებულებებში და გარეუბნის სოფლებსა და კოლმეურნეობებში ხელის მოწერის რეალობის შემოწმება.

ბრიგადები გამოარკვევენ აგრეთვე რამდენათ მზად არიან წარმოება-დაწესებულებები და შემნახველი სალაროები მეორე ხუთწლედის სესხის ანგარიშში პირველ შესატანის აკრეფისათვის ამასთან ერთად ბრიგადები ადგილებზე გამოარკვევენ დარიგებულ აქვთ თუ არა ხელის მომწერლებს მეოთხე დამამთავრებელი წლის სესხის ობლიგაციები.

ბრიგადები უკვე შეუდგენ მუშაობას.

## მოითხოვენ ობლიგაციებს

ჭიათურა, 6 ივნისი. 6 ივნისისათვის ჭიათურის მუშებს მეორე ხუთწლედის სესხზე ხელისმოწერა გაფორმებული ქონდათ 612.000 მან. რაოდენობით, შესრულებულ იქნა გეგმის — 105,5 პროც., კოლმეურნეებს ხელისმოწერა გაფორმებული ქონდათ 94.000 მანეთის რაოდენობით, რაც გეგმის 106.8 პროც. უდრის.

ერთპიროვნულ მეურნეობებში გაშლილია ახსნა-განმარტება, რომელსაც აწარმოებენ დამკვრელი მუშები, მოწინავე კოლმეურნეები და ერთპიროვნული გლეხები. ერთპიროვნულ მეურნეობებში სესხის გავრცელების წარმატებისათვის საჭიროა რაიონს დაჩქარებით გადმოეგზავნოს ნაღდზე გასავრცელებელი ობლიგაციები.

ვაშაძე.

ცაგერი, 5 ივნისი. ცაგერის რაიონის მუშა-მოსამსახურეებს სესხზე მოწერილი აქვთ ხელი 103.250 მანეთის რაოდენობით (გეგმის 129 პროც.), კოლმეურნეებს — შესრულებული აქვთ გეგმის 62 პროც. ერთპიროვნულ მეურნეებს კი მხოლოდ 2 პროც.

## მეოთხე დამამთავრებელი წლის სესხის ობლიგაციები დღემდე არ მიუღიათ

(სოფ. ხაბუმე, ჩხოროწყუს რაიონი)

მეორე ხუთწლედის სესხის გამოშვებას სოფ. ხაბუმეს მშრომელი მოსახლეობა ერთსულოვნად გამოეხმაურა. მუშა-მოსამსახურეებმა ხელის მოწერა 2 დღეში დაამთავრეს და სახელმწიფოს სესხად მისცეს ერთთვის ხელფასი.

კოლმეურნეობებში სესხის გავრცელება დავალებული ქონდათ მასწავლებლებს, რომლებმაც ფართოდ გაშალეს ახსნა-განმარტება, თვითეულ საკოლმეურნეო ბრიგადაში (საუბრები, მიტინგები), დასვენების დროს. ივნისის დამლევისათვის კოლმეურნეებს ხელის მოწერა ჩატარებული ქონდათ ერთთვის შემოსავლის 118 პროცენტის რაოდენობით.

ამჟამად სოფ. ხაბუმეს მასწავლებლები და დამკვრელი კოლმეურნეები ფართო ახსნა-განმარტებას აწარმოებენ ერთპიროვნულ მეურნეობებში და სიტყვას იძლევიან, რომ კამპანიას ვადაზე ადრე და წარმატებით ჩაატარებენ.

უარყოფით მოვლენას წარმოადგენს ის გარემოება, რომ სოფ. ხაბუმეს კოლმეურნეებს დღემდე არ მიუღიათ მეოთხე დამამთავრებელი წლის სესხის ობლიგაციები, რომლის ლიკვიდაციაც ნახევარი წლის წინათ გადაიხადეს. ეს მდგომარეობა დაჩქარებით უნდა გამოსწორდეს.

ა. მელუა

# მორიგი პარტიული დღის ჩატარების შესახებ

(საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის სამდივნოს 1933 წლის 7 ივნისის დადგენილება)

1. ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის მიერ დასახულ ტექნიკის დაუფლების, გეგმების რიცხვობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულების ამოცანების განხორციელება მოითხოვს პარტიული ორგანიზაციებისაგან პარტიულ-მასიური მუშაობის შემდგომ გარდაქმნაზე პარტხელმძღვანელობის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას და ამ მუშაობის დაყენებას მეორე ხუთწლედის პირველი წლის სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანების დონეზე.

იმ მიზნით, რომ შემოწმებულ იქნას პარტმასიური მუშაობის მდგომარეობა და დაისახოს შემდგომი ღონისძიებანი საქ. კ.პ. (ბ) ცეკას იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან შეფარდებით. თბილისის კომიტეტის სამდივნო წინადადებას იძლევა მორიგ ერთიან პარტიულ დღეს—1933 წლის 28 ივნისს ტფილისის ორგანიზაციის ყველა საწარმოო უჯრედებში განხილულ იქნას „საქ. კ.პ. (ბ) ცეკას მიერ სამრეწველო საწარმოთა უჯრედების პარტმუშაობის შესახებ მიღებულ დადგენილების რეალიზაციის მიმდინარეობა".

2. ტფილისის კომიტეტის სამდივნო, რომელიც სცნობს, რომ მომავალი პარტიული დღე უნდა გადაიქცეს პარტიული მუშაობის შემდგომი გარდაქმნის და მისი შინაარსის გაუმჯობესების საშუალებად, განსაკუთრებით ამახვილებს ყველა საწარმოო უჯრედების ყურადღებას შემდეგ საკითხებზე.

ა) პარტიული დღეების მომზადების და ჩატარების პრაქტიკა, თითეული კომუნისტის მოქცევა ბოლშევიკური გავლენის ქვეშ და მისი მთლიანად ჩაბმა საბრძოლო პარტიულ მუშაობაში (პარტდატვირთვა, ავანგარდული როლი, აქტივთან მუშაობის ორგანიზაცია და სხვ.);

ბ) საშუალო, და განსაკუთრებით ძირეული, პარტიული რგოლის—საამქრო უჯრედები, რგოლური უჯრედები, პარტჯგუფები და სხვ. მუშაობის განმტკიცება (ძირეული რგოლის ჩამოყალიბება, ძირეული რგოლის კადრები, ორგანიზაციების სტრუქტურა და სხვ.).

გ) აქტივთან და პარტკადრებთან მუშაობა (სარემონტო ქარხნის გამოცდილება);

დ) მტკიცე პარტხელმძღვანელობის შექმნა მუშათა მომარაგების, საზოგადოებრივი კვების და საკუთარი ხასურსათო ბაზების გაუმჯობესების საქმეში;

ე) პოლიტიკური და საწარმოო აგიტაციის დაყენება საწარმოებში;

ვ) პარტიული ხელმძღვანელობის გაწევა კომკავშირის უჯრედებისა და სხვა არაპარტიული ორგანიზაციებისათვის;

ზ) პარტიელების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება (პარტგანათლება),

თ) მუშაობა სოფლისათვის პროლეტარული დახმარების გაწევის და სახელმწიფო დაწესებულებებზე შეფობის განხორციელების საქმეში;

ი) წარმოებაზე პარტხელმძღვანელობის გაუმჯობესება და კომუნისტების ხელმძღვანელი როლის გაძლიერება სამრეწველო საფინანსო გეგმების მაღალი რიცხვობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში, წარმოების ტექნიკის ათვისების ბლად მასების ორგანიზაციისათვის ბრძოლაში.

3. აღნიშნული პარტიული დღის ჩატარებას წინ უნდა უძღოდეს:

1. პარტიული მუშაობის ყველა რგოლის, ნამდვილი თვითშემოწმების, პარტმუშაობის ჩამორჩენილი დარგების დაუყოვნებლივ გარდაქმნის და განმტკიცების ორგანიზაცია.

2. ამ კონკრეტულ ღონისძიებათა წინასწარი გულდასმითი დამუშავება, რომლებიც რადიკალურად აუმჯობესებენ მუშაობის მოცემული დარგის დაყენებას სათანადო სიმაღლეზე.

3. წინადადებათა შეგროვება, დიფერენცირებული თათბირების მოწვევა პარტიული მუშაობის შემოწმების და გაუმჯობესების კონკრეტულ საკითხებზე.

4. საქარხნო პრესის, საამქროების კედლის გაზეთების, ფურცლების და სხვ. გამოყენება და მთელი ამ მუშაობის ჩატარება ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნით.

5. 28 ივნისის პარტიული დღისათვის მზადების პერიოდში მოწვეულ იქნას საქარხნო პარტკომების, პარტკოლექტივების, საქარხნო და საამქრო უჯრედების მდივნების საერთო საქალაქო კონფერენცია. საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებამ დაწესოს კონფერენციების მოწვევის ვადა და მოაწყოს მისი გულდასმით მომზადება.

6. განემარტოს რაიკომებს, რომ პარტიული დღე უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლეს ტექნიკური სასწავლებლების უჯრედებში ჩატარდება შემდეგი დღის წესრიგით: ტფილისის კომიტეტის იმ გადაწყვეტილების დამუშავება, რომელიც ეხება ორგპარტმასიური მუშაობის მდგომარეობას და ახალი 1933—34 სასწავლო წლისათვის მზადებაზე პარტხელმძღვანელობის გაწევის ამოცანებს.

საბჭოთა უჯრედებში 28 ივნისს დამუშავდება ადგილობრივი საკითხები, ხოლო სავაჭრო-კოოპერატიულ ორგანიზაციებში 28 ივნისს დამუშავდება შემდეგი საკითხი:

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას მიერ „კოოპერატიული უჯრედების მუშაობის და სავაჭრო-კოოპერატიული სისტემის აპარატების თვითგაწმენდისათვის მზადების შესახებ" მიღებულ დადგენილების რეალიზაციის მიმდინარეობა.

7. წინადადება მიეცეს ყველა საწარმოო უჯრედებს, პარტკომიტეტებს და პარტკოლექტივებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ 28 ივნისის პარტდღის ჩატარებისათვის მზადებას. ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებამ მოიწვიოს უჯრედთა მდივნების ფართო საინსტრუქციო თათბირი აღნიშნული პარტდღის ჩატარების წესის და ფორმის შესახებ.

8. ტფილისის ორგანიზაციის ყველა უჯრედები 28 ივნისის პარტიული დღის პირველ ნახევარ საათს ანდომებენ პარტკრებების მიერ 22 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებათა დამუშავებას შემდეგ საკითხზე: „1 კვარტალის გეგმის შესრულების ხარისხობრივი და რიცხვობრივი მაჩვენებლები და ტექნიკის ათვისების საკითხები".

9. ტფილისის გაზეთების რედაქციებმა დაუყოვნებლივ მიიღონ მონაწილეობა 28 ივნისის პარტიული დღისათვის მზადების საქმეში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი

პ. მელაძე.

# წარმატებით ჩავატაროთ საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვის ათდღიური

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და ც.ს.კ. იანვრის გაერთიანებულმა პლენუმმა საკოლმეურნეო აღრიცხვის მოწესრიგებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ამხ. სტალინის მითითებისა და პლენუმის დადგენილების საფუძველზე დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობამ მიიღო კონკრეტული ღონისძიებები საკოლმეურნეო შრომის მოსაწესრიგებლად.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ბევრ კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვა ჯერაც არ არის მოწესრიგებული. ამ ნიადაგზე წევრთა შორის ადგილი აქვს ზოგიერთ უკმაყოფილებას. კოლმეურნეობებში შეპარულ მავნებლურ ელემენტებს საშუალება ეძლევათ კოლმეურნეობათა წინააღმდეგ აწარმოონ გააფთრებული ბრძოლა.

უდაოა, რომ იქ სადაც აღრიცხვა მოუწესრიგებელია, ადგილი აქვს კოლმეურნეობების საერთო ქონების განიავებას და ზარმაცები ადვილათ ახერხებენ სამუშაოების თავიდან აცილებას. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება იმის გამორკვევა, თუ როდის გამოდის სამუშაოზე, ვინ რამდენი იმუშავა და სხვ.

კასპის რაიონის, სოფ. ქვემო-ხანდაკის კოლმეურნეობაში, აღრიცხვის მოუწესრიგებლობის გამო ადგილი აქვს არევ-დარევას. გამგეობამ არ იცის რამდენი წევრი გამოდის სამუშაოდ, რაზე მუშაობენ ისინი და რა ხარისხით სრულდება სამუშაო. ამავე რაიონის კოლმეურნეობა „ძმობა"-ში 1-ლ მაისიდან 25 მაისამდე გაცდენილი არის 398 კაცდღე. გარდა ამისა კასპის რაიონის მიწვანს ზოგიერთ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ გადაუგზავნია აღრიცხვის ფორმები; რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მრავალია ისეთი შემთხვევები, როდესაც პირველად აღრიცხვას აწარმოებდენ არა ბრიგადირები, არამედ მოანგარიშეები.

ასეთ შემთხვევებს ვხვდებით გორის რაიონის კოლმეურნეობებშიც. მაგალითად: სოფ. პატარა-გარეჯვარის, პატარა-მეჯვრისხევის, ტინისხიდის და სხვა კოლმეურნეობებში ადგილი აქვს გათანაბრებას. გამომუშავებული შრომა-დღეების რაოდენობას ყოფენ ბრიგადის ყველა წევრებზე თანასწორად, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ზოგან აღრიცხვის დროს მხედველობაში ღებულობენ არა ნამუშევარის რაოდენობას, არამედ იმას, თუ რამდენმა კაცმა შეასრულა ესა თუ ის სამუშაო. მაგ. ლაგოდეხის რაიონის, სოფ. შრომას კოლმეურნეობის მე-2 ბრიგადის ხელმძღვანელი გამგეობას აძლევს ცნობას, რომ ნათესების გაწმენდა სარეველა ბალახებისაგან 1205 საჟენზე ჩაატარა 6 კაცმა, მაგრამ ბრიგადირი არ აღნიშნავს იმას, თუ რომელმა წევრმა რამდენი გააკეთა და რა ხარისხით. ამავე რაიონის კოლმეურნეობა „ნაპერწკალ"-ში მომუშავე ქალებს არ აქვთ შრომის წიგნაკები და აღრიცხვას აწარმოებენ უბრალო ქაღალდზე.

ყველა ეს ნაკლოვანებები მოითხოვენ სასწრაფოდ გამოსწორებას.

საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს მიწსახკომის მიერ 1-ლ ივნისიდან 10 ივნისამდე გამოცხადებულია ათდღიური. ათდღიურის განმავლობაში რაიონის პარტიულ და ყველა საბჭოთა და ორგანიზაციების ამოცანაა კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობით უზრუნველყონ საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვის მოწესრიგება; ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობების და ცალკე ბრიგადების საწარმოო გეგმების შესრულებას, გაზაფხულის პერიოდში შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შემოწმებას და ამის საფუძველზე ბრიგადებისა და ცალკე კოლმეურნეებისათვის შრომა-დღეების დარიცხვას ან დაკლებას; კოლმეურნეობების მომარაგებას აღრიცხვის ყველა ფორმებით, შრომადღეების გადატანას შრომის წიგნაკებში, ავანსების წესიერად გაცემას და სხვ.

ამ ღონისძიებების გატარება არ ამოიწურება მხოლოდ ათდღიურით, ამ მიმართულებით მუშაობა უნდა სწარმოებდეს მთელი სამეურნეო წლის მანძილზე. ამისათვის ფართოდ უნდა დავრაზმოთ მთელი საკოლმეურნე აქტივი და მათთან მუშაობის განმტკიცებით საკოლმეურნეო შრომის აღრიცხვა ავიყვანოთ მაღალ საფეხურზე.

აღრიცხვის მოწესრიგება, ბოლშევიკური კოლმეურნეობებისათვის ბრძოლის მთავარი პირობაა. ჩვენ ჯერ კიდევ მოგვეპოვება ისეთი კოლმეურნეობები, სადაც მოკალათებულნი არიან კლასიურად უცხო ელემენტები, რომლებიც ცდილობენ კოლმეურნეობების შიგნიდან დაშლას. საკოლმეურნეო აღრიცხვის მოუწესრიგებლობა მათ ხელში კოლმეურნეობების საწინააღმდეგო ბრძოლის საუკეთესო იარაღს წარმოადგენს.

ჩვენი ამოცანაა—დაუზოგავად ვამხილოთ და გავაძევოთ კოლმეურნეობებიდან კლასობრივი მტრები. გარდა ამისა სისტემატიური კონტროლი უნდა დავაწესოთ კოლმეურნეობათა წვეების, მეკუჭნავეების და მოანგარიშეების მუშაობაზე. აღრიცხვის მოწესრიგებით უნდა უზრუნველვყოთ კოლმეურნეობათა გაჯანსაღება და მისი ორგანიზაციულად განმტკიცება.

არ უნდა დარჩეს არც ერთი კოლმეურნე, რომელსაც ხელში არ ექნება შრომის წიგნაკი, შევსებული სათანადო რაოდენობის შრომა-დღეებით.

ა. ნ.

# ბიბლიოგრაფია

## ვ. ი. ლენინი—შენიშვნები ნ. ბუხარინის წიგნზე

„გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა", სახელგამი, 1933 წ. გვ. 77 ფ. 1 მ.

მარქსიზმის კლასიკოსთა შრომების ფართო პოპულარიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურად ჩაბმისა და ყველა ჯურის ანტი-მარქსისტულ და ანტი-ლენინურ თეორიების და შეხედულებების დაძლევისა და საბოლოოდ ალიკვიდაციის საქმეში.

ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეკუთვნოს ლენინის შენიშვნებს ამხ. ბუხარინის წიგნზე — „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა", რომელიც ამ ცოტა ხნის წინად გამოსცა სახელგამმა ქართულ ენაზე.

უნდა ითქვას, რომ ლენინის შენიშვნები ამხ ბუხარინის წიგნზე წარმოადგენს ლენინიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტთაგანს. აქ ლენინი ერთის მხრივ მაქსიმალური სიცხადით და გარკვეულობით აქეღავნებს მემარჯვენე გადახრის ყოფილი ბელადის ამხ. ბუხარინის ძირითად შეცდომებს, მეორეს მხრივ აქვე ჩვენ ვხვდებით მთელ რიგ სრულიად ახალ თეორიულ მხრივ უდიდესად საინტერესო შეხედულებებს და აზრებს გარდამავალი პერიოდის ძირითად საკითხებზე.

„შენიშვნები" აიარაღებენ მკითხველს მარქსისტულ-ლენინური თეორიით, აძლევენ მას სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაპის ურთულეს საკითხებში ორიენტაციის აღების საშუალებას, პერსპექტივის სიცხადეს, რწმენას მუშაობაში, ჩვენი საქმის გამარჯვებაში. „შენიშვნები" წარმოადგენენ ასევე უდიდეს იარაღს მემარჯვენე გადახრის, როგორც ახლანდელ ეტაპზე მთავარი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ლენინის შენიშვნები ეხება უმთავრესად მატერიალისტური დიალექტიკის, საზოგადოებისა და კლასების, პოლიტიკური ეკონომიის, იმპერიალიზმის, მსოფლიო მეურნეობის და გარდამავალი ეკონომიკის ძირითად საკითხებს. „შენიშვნებში". მოცემულია მკაფიო კრიტიკა ამხ. ბუხარინის შეცდომებისა აღნიშნულ საკითხებში, იქვე მოცემულია კონსპექტიურად, მოკლედ ლენინის აზრები ამ საკითხებზე.

ქართველი მკითხველისათვის ლენინის შენიშვნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ვინაიდან ქართულ ენაზე სამწუხაროდ ჯერ კიდევ დიდი ნაკლებობაა ლიტერატურისა გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის საკითხების შესახებ.

წინდაწინვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლენინის შენიშვნების თარგმნა განსაკუთრებით ძნელია ორი გარემოების გამო: ერთის მხრივ საჭიროა ამხ. ბუხარინის წიგნიდან სათანადო ადგილების ისეთნაირად თარგმნა, რათა მაქსიმალურად დაცული იქნას ავტორის გამოთქმის თავისებურება, მაშასადამე აქ ცოტად თუ ბევრად თავისუფალი თარგმანი, რაც ქართული ფრაზის სწორად აგებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს, პირდაპირ დაუშვებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში „შენიშვნებს" და ბუხარინის წიგნის სათანადო ადგილებს შორის ერთგვარი გათიშვაა მოსალოდნელი და შენიშვნები მიზანს ვერ მიაღწევს. მეორეს მხრივ, ლენინის შენიშვნები წარმოადგენენ მთელ რიგ შემთხვევაში ერთგვარ პირობით გამოთქმებს, ასე ვთქვათ სათანადო აზრების ერთვარ სქემებს, რომლებიც უფრო თეზისებს მოგვაგონებენ. ესაა შენიშვნების თავისებურება, რაც თარგმანს ძლიერ ართულებს.

ამას გარდა არა ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენს ე. წ. სარედაქციო სამუშაო. დიდი რაოდენობა შენიშვნებისა, ხაზებისა, რკალებისა; კითხვისა და სხვა ნიშნებით აძნელებს როგორც ამწყობის ისე კორექტორის მუშაობასაც.

სარეცენზიო წიგნი ისე ცუდადაა გამოც., რომ, ამ წიგნით სარგებლობა მეტად ძნელი ხდება. ამის დამამტკიცებელი მაგალითები წიგნში ძალზე დიდია. ჩვენ დავკმაყოფილდებით აქ მათი მხოლოდ ნაწილის მოყვანით, რაც ვფიქრობთ, სავსებით საკმაო იქნება.

წიგნის მე-6 გვერდზე, სადაც ლენინი ამტკიცებს პოლიტიკურ ეკონომიის აუცილებლობას წმინდა კომუნიზმის დროსაც აღნიშნავს, რომ მაშინაც იქნება შეფარდება I v+II—m IIc სადმე და დაგროვება. ქართულ თარგმანში ეს ძირითადი, ცენტრალური ფორმულა დამახინჯებულია: ასო c სავსებით გამოტოვებულია (!) და ფორმულა გამოიყურება ასე I v+m II-სადმე

მე-8 გვერდზე ვკითხულობთ: „ვერტიკალურსა და რთულ კონკურენციას თან სდევს უშუალო ძალობრივი წნევის მეთოდები". გაიგეთ რამე? აქ გადმოქართულებულია" ამხ. ბუხარინის შემდეგი აზრი:

«Вертикальной и сложной конкуренции сопутствуют методы непосредственого силового давления».

ასევე მე-10 გვერდზე: „სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ეს არის კლასის" ყველაზე უფრო ფართო ორგანიზაცია, რომელიც თავმოყრილია მექანიკური წნევის და რეპრესიის იარაღები". ან კიდევ მე-61 გვერდზე: „თავისთავად ცხადია, რომ იძულებითი წნევის გარეშე ამ ელემენტების (ტექნიკური ინტელიგენცია ი. შ.)..: გამოყენება შეუძლებელია" (უკანასკნელი ორი ხაზი ჩვენია ი. შ.). აღნიშნულ შემთხვევაში „ძალობრივი წნევის", „მექანიკური წნევისა" და „იძულებითი წნევის" გამოყენება ყოვლად შეუძლებელია. წნევა — ეს ტექნიკური ტერმინია და რუსულად ის давление-ს ნიშნავს. მაგრამ давление ქართულად არა მარტო წნევას ნიშნავს, არამედ ზეგავლენასაც და დაწოლასაც. ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა სიტყვა ზეგავლენის ხმარება.

მე-22 გვერდზე ამხ. ბუხარინი სწერს (შენიშვნაში): „საკმაოდ მრავალრიცხოვანი გამოკვლევანი ბურჟუაზიული პროფესორების მიერ დაწერილნი „სოციალიზაციის" შესახებ, რასაკვირველია, გვერდს უვლიან ამ ძირითად საკითხს" (პროლეტარიატის დიქტატურას. ი. შ.). ლენინი აქ ხაზს უსვამს სიტყვებს „ბურჟუაზიული პროფესორების მიერ დაწერილნი" და აკეთებს იქვე შენიშვნას: „не только ими" ქართულ თარგმანში — კი სწერია: „მხოლოდ მათ მიერ" (!?). აქ ლენინის შენიშვნა მთარგმნელის მიერ იმგვარადაა დამახინჯებული, გამოდის, რომ თითქოს ლენინი კი არ ეწინააღმდეგება, არამედ „ადასტურებს" ბუხარინის ამ ოპორტუნისტულ შეცდომას.

მე-72 გვერდზე შენიშვნაში სიტყვები «не будет иметь места полный распад аппарата».

თარგმნილია ასე: „ადგილი არ ექნება აპარატის ისეთ რღვევას". ეს შეცდომა განსაკუთრებით სამწუხაროა იმიტომ, რომ აღნიშნული სიტყვები ხაზგასმულია ლენინის მიერ და აქვს გაკეთებული შენიშვნა: „სწორია".

მე-58 გვერდზე მთარგმნელს არ მოსწონს ამხ. ბუხარინის მიერ მარქსის „კაპიტალი"-დან ამოღებული ციტატის თარგმანი და თავისებურად „ასწორებს" მას. ამხ. ბუხარინი მარქსის ცნობილ დებულებას თარგმნის გერმანულიდან რუსულად შემდეგნაირად: „Оно само (ძალდატანება — ი. შ.) „есть экономич. сила». ლენინი აქ ირგვლივ შემოხაზავს სიტყვა сила-ს და გვერდზე შენიშნავს, რომ უფრო ზუსტი და უფრო სწორი იქნებოდა. აქ ცნება „კატეგორია" ან „ფაქტორი" ყოფილიყო ნახმარი, თორემ „ძალდატანება-ძალა" რუსულად ვერ გამოდის კარგათ. ქართულ თარგმანში კი რატომღაც სიტყვა сила პოტენციათაა ნათარგმნი და ამნაირად აქ სავსებით იკარგება ლენინის აღნიშნული შენიშვნის აზრი.

მე-60 გვერდზე паразитические слой. ნათარგმნია „პარაზიტულ ელემენტებათ".

მაგალითების მოყვანა შეიძლება ძალიან დიდი რაოდენობით, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნულიც საკმაო წარმოდგენას იძლევა ქართული თარგმანის ხარისხზე.

განსაკუთრებით დიდია რაოდენობა აგრეთვე ტექნიკური ხასიათის შეცდომებისა, რომლებიც ძლიერ ამახინჯებენ აზრსაც.

შევნიშნავთ, რომ მთარგმნელს, როგორც ( ровновесие ) და მის მაგიერ წიგნის მთელ მანძილზე მცირე გამონაკლისს სჩანს, არ სცოდნია სიტყვა „წონასწორობა" გარდა (ალბათ კორექტორმა თუ შეასწორა), ყველგან სათანადო ადგილას სიტყვა „წონასწორობას" ხმარობს.

ჩვენ ყურადღებით შევადარეთ წიგნაკი რუსულ თარგმანს თავიდან ბოლომდე და უნდა ითქვას, რომ ჩვენ ვერ ვნახეთ თითქმის ვერც ერთი ისეთი გვერდიც, რომელიც ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი სახით იყოს დაბეჭდილი.

ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლს წიგნისას ისიც წარმოადგენს, რომ მასში სათანადოთ ვერაა შეთანხმებული ადგილის მიხედვით ამხ. ლენინის შენიშვნები ბუხარინის წიგნის შესაფერ ადგილებთან (გვ. 5, 8, 14, 16, და სხვ.). მასთან შენიშვნები ისე ცუდადაა დალაგებული, რომ ხშირათ არ სჩანს თუ სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე. მთელ რიგ შემთხვევაში გამოტოვებულია (ხან-კი ჩამატებულია თავისი!) ამხ. ლენინის მიერ გაკეთებული შენიშვნები სხვადასხვაგვარი პირობითი ნიშნებით (გვ. 8, 14, 15, 16, 17, 18 და სხვ.). ძლიერ დიდია რაოდენობა კორექტურული შეცდომებისაც, რომლებიც ხშირად აზრსაც უხეშად ამახინჯებენ.

ლენინის შენიშვნების გამოცემა ქართულ ენაზე დიდ მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს. იგი ესაჭიროება ყოველ ჩვენ მოსწავლეს უმაღლეს და საშუალო სასწავლებლისა, ესაჭიროება ყოველ მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაკს და ჩვენს პარტაქტივს. შენიშვნები დიდის ინტერესით იკითხება და მათში მკითხველი ნახავს სწორ და უტყუარ მარქსისტულ-ლენინურ პასუხს გარდამავალი პერიოდის თითქმის ყველა მწვავე ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ-პოლიტიკურ საკითხებზე.

საჭიროა „შენიშვნები" მოკლე ხანში ხელმეორედ გამოიცეს. მასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირველი გამოცემის „მწარე" გამოცდილება. ლენინიზმის ასეთ დიდ მნიშვნელოვანი დოკუმენტის გამოცემა უნდა თავს იდვას მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა. მომავალშიაც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ძირითადი ნაშრომების ქართულ ენაზე გამოცემის საქმე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის უშუალო ხელმძღვანელობით უნდა სწარმოებდეს.

ი. შენგელია

# ანტიფაშისტური კონგრესის გახსნა

## რაკამონის სიტყვა

**პარიზი**, 5 ივნისი. გუშინ გაიხსნა ევროპული ანტიფაშისტური კონგრესი. კონგრესში მონაწილეობას ღებულობს 3 ათასზე მეტი დელეგატი. კონგრესი გრანდიოზულ სანახაობას წარმოადგენს. დღის პირველი საათისათვის პლეიელის უზარმაზარ დარბაზი ხალხით გაივსო. მთელი პარტერი დელეგატებმა დაიკავეს. აივნები სტუმრებითაა გაჭედილი. დარბაზს ამშვენებენ ვეებერთელა პლაკატები ანტიფაშისტური ლოზუნგებით. ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატები აუწყებიან დარბაზში გერმანიის დელეგაციის გამოჩენას. მაშინვე მრავალი ათასი ხალხი ფეხზე დგება და მძლავრად გაისმის მისალმება—„როტ ფრონტ“. დარბაზში დროშით შემოდის გერმანიის დელეგაცია. მღერიან „ინტერნაციონალს“. დელეგაციას მქუხარე ტაშით ხვდებიან.

კონგრესს საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ხსნის საფრანგეთის უნიტარული (რევოლუციური) პროფკავშირების მდივანი **რაკომონი** და ესალმება დელეგატებს. „ჩვენს კონგრესს,—ამბობს რაკამონი, —რევოლუციურ პროფკავშირებთან და რევოლუციურ პარტიებთან ერთად, ესწრებიან ერთიანი ფრონტის მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები, როგორც—საბჭოთა კავშირის მეგობართა კომიტეტები, ომის საწინააღმდეგო კომიტეტები, ომის ყოფილ მონაწილეთა ასოციაციები, ანტიიმპერიალისტური ლიგის, მშვიდობიანობისათვის მებრძოლ ქალთა საერთაშორისო ლიგის, სასპორტო ჯგუფების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჩვენს კონგრესზე წარმოდგენილი არიან სხვადასხვა ქვეყნის და მიმართულების პროფკავშირები, სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. ბოლოს, კონგრესს ესწრებიან მშრომელი ინტელიგენციის მთელი რიგი წარმომადგენლები“.

შემდეგ რაკამონი ამბობს, რომ კონგრესის დელეგატებს აერთიანებს სიძულვილი ფაშიზმისადმი, მასთან ბრძოლის, მასზე გამარჯვების ნებისყოფა. „პროლეტარიატს ფაშიზმი მიაჩნია კაპიტალის დიქტატურის ყველაზე უფრო სისხლიან ფორმად,—აცხადებს რაკამონი. ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ ნიშნავს ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ. აქ ადგილი არა აქვთ იმათ, ვისაც სურს ამა თუ იმ სახით ითანამშრომლოს კაპიტალიზმთან. ჩვენ არ დაუშვებთ მანევრებს, რომელთა საშუალებით ცდილობენ გამოიყენონ ანტიფაშისტური მოძრაობა შოვინიზმის იარაღად. ჩვენ არ დავივიწყებთ, რომ სწორედ ამას ცდილობს „დემოკრატიული“ ქვეყნების ბურჟუაზია. არა, ჩვენ მხარს ვერ დაუჭერთ ბურჟუაზიულ დემოკრატიას“.

შემდეგ რაკამონი ახასიათებს ბურჟუაზიული დემოკრატიის კლასობრივ ბუნებას და როლს და ამბობს:

„აქ წარმოდგენილი არიან ფაშისტური დიქტატურის ყველა ქვეყნები. ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა გადალახეს საზღვარი, თუმცა საფრთხე ემუქრებოდა მათ თავისუფლებას, ზოგჯერ და სიცოცხლესაც კი. შევძლებთ თუ არა ჩვენ ისევე გაბედულად ვიბრძოლოთ, როგორც ისინი იბრძვიან, პროლეტარიატის სოციალური განთავისუფლებისათვის, ჩვენი საბჭოთა ამხანაგების მსგავსად“.

რაკამონის სიტყვა ხანგრძლივი ტაშით იფარება.

### კონგრესის დღის წესრიგი

რაკამონის შესავალი სიტყვის შემდეგ კონგრესმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1) ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ და კაპიტალის შეტევა. მოხსენებანი რევოლუციური და ანტიფაშისტური მოძრაობის შესახებ გერმანიასა, პოლონეთსა და იტალიაში

2) მიღება მანიფესტისა ევროპის მშრომელებისადმი და რეზოლიუციისა ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ.

3) ევროპული ანტიფაშისტური გაერთიანების ცენტრალური კომიტეტის არჩევა.

### კონგრესის პრეზიდიუმის არჩევა

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ამხ. რაკამონი აცხადებს პრეზიდიუმში დასახელებულ კანდიდატთა სიას, რომელსაც მხურვალე მისალმებით ხვდებიან. კონგრესის საპატიო თავმჯდომარეებად აირჩიეს ტელმანი, ტორგლერი, დიმიტროვი, ბერტინი, იტალიელი ანარქისტი ლიუჯიტი და ტარაშკევიჩი. პრეზიდიუმში აირჩიეს გერმანიიდან—მიულერი (ბერლინის საორგანიზაციო კომიტეტი), გერტნერი (ნეიკელნის სოციალისტური ორგანიზაცია); იტალიიდან—როვერტი (რესპუბლიკანური პარტიის წევრი), როფოლო (სოციალისტური პარტიის წევრი), რენდინი (ანარქისტი); პოლონეთიდან — სეიმის კომდეპუტატი როზენბერგი, სამთამადნო მუშების პროფკავშირის უპარტიო მდივანი სტელმახი; ბალკანეთის ქვეყნებიდან — მაკედონიის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენელი კალინოვი, რუმინელი პროფესორი კონსტანტინესკუ, სამხრეთ-სლავიელი მუშა მატიევიჩი და ბულგარელი მუშა პეტროვი; საფრანგეთიდან—მარსელ კაშენი, სოციალისტი ფორიე რაკამონი; ინგლისიდან — ლეიბორისტული პარტიის წევრი მესსი, დამოუკიდებელი მუშათა პარტიის წევრი შელტონი; ჩეხო-სლოვაკიიდან — რეფორმისტული პროფკავშირების ერთ-ერთი მდივანი—კარვინის სამთამადნო მუშა მიხალიოვსკი, პრაღის ქიმიურ საწარმოს უპარტიო მუშა-ქალი კლაბანოვა; ბელგიიდან—ერთი მუშა-ფლამანდელი სეპარატისტი; ესპანეთიდან — სევილიის სასოფლო-სამეურნეო მუშა იზორანატო; ჰოლანდიიდან — სოციალისტური ახალგაზრდობის ამსტერდამის კავშირის წარმომადგენელი ვანდელენი; შვეიცარიიდან—ერთ-ერთი ბრალდებული ჟენევის პროცესში — ბელუბანი.

### მიულერის მოხსენება

შემდეგ მოხსენებით გერმანიის ფაშიზმის შესახებ გამოვიდა მიულერი. კონგრესი მას მხურვალედ ესალმება. მიულერმა განაცხადა რომ გერმანიის მშრომელები აწარმოებენ ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ ყველა საშუალებებით და რომ მომავალი პროლეტარიატს ეკუთვნის. მან განაცხადა, რომ გერმანიაში ფაშიზმი წარმოიშვა ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის წინააღმდეგ აჯანყდა შოვინიზმის ტალღა—ომის წყარო. სოციალ-დემოკრატთა ბელადების პოლიტიკა მდგომარეობდა გერმანელი მასების დემორალიზაციაში. გათიშულმა მუშათა კლასმა ვერ შეძლო მიემხრო შუალედი კლასები ან მოეხდინა მათი ნეიტრალიზაცია. კომპარტიას არა ერთხელ დაუსვამს მასიური პოლიტიკური გაფიცვის საკითხი, მაგრამ იგი ყოველთვის აწყდებოდა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგობას. ახლა კომუნისტები მუშაობენ იმისათვის, რომ დაიპყრონ მთელი გერმანიის პროლეტარიატი ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. გერმანიის ბურჟუაზია ცდილობს ვერსალის ხელშეკრულების რევიზიას იმპერიალისტური ომის გზით. „ჩვენ, ანტი-ფაშისტები,—ამბობს მიულერი, — თუ ომი ატყდა, განვიმეორებთ ლიბკნეხტის სიტყვებს — „არასოდეს არ ვემსახუროთ იმპერიალიზმს, არამედ ვიბრძოლოთ, რათა მოვსპოთ იგი“. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადები მხარს უჭერენ ფაშისტებს, ისე როგორც 1914 წელს ისინი მხარს უჭერდნენ კაიზერს“.

ორატორმა დახატა რევოლუციურ მშრომელთა მასიური მკვლელობის, წამოების, დაპატიმრების სურათი, რასაც ადგილი ჰქონ შემდეგ. „მაგრამ ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ ჩაღდება,—განაცხადა მან,—გაფიცვები არ წყდება. ფურცლები, არალეგალური გაზეთები ვრცელდება. თვითმკვლელობათა სტატისტიკის გამოქვეყნების აკრძალვა უკიდურეს სიღატაკეს მოწმობს. ხელფასი ეცემა. ცხოვრების ღირებულება იზრდება. გერმანიაში 9 მილიონი უმუშევარია. ფაშისტურ ბანაკში აშკარა შუღლა-შემოხლას აქვს ადგილი. მეორე ინტერნაციონალი კრიზისის ზეგავლენით დაიშალა. რეფორმისტული ბიუროკრატები ფაშიზმს დაემორჩილენ. რევოლუციური პროფოპოზიცია ხელმძღვანელობას უწევს ანტიფაშისტურ ბრძოლას, რაზმავს მუშებს ყოველდღიურ მოთხოვნებისთვის ბრძოლაში. თუ ჩვენ გვექნება მოქმედების რწმენა,—ჩვენ უეჭველად ერთად გამარჯვებას მივაღწევთ“.

### ანტი-ფაშისტური კონგრესის საპროტესტო დეპეშა გერმანიის საელჩოსადმი პარიზში

**პარიზი**, 6 ივნისი. მიულერის მოხსენების შემდეგ, კონგრესის თავმჯდომარე წინადადებას იძლევა გაეგზავნოს პრეზიდიუმის სახელით გერმანიის საელჩოს პარიზში საპროტესტო დეპეშა ბარბიუსის და სხვების ხელისმოწერით ალტონსა და ხემნიცში მუშების მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის წინააღმდეგ. დეპეშაში ნათქვამია:

„მთელ მსოფლიოს მუშათა კლასი, დაკავშირებული გლეხთა მასებთან და მშრომელ ინტელიგენციასთან, კატეგორიულად მოითხოვს სასიკვდილო განაჩენის დაუყოვნებლივ გაუქმებას. ქვემოდ ხელისმომწერნი მიმართავენ მთელ მსოფლიოს მუშათა კლასს მოწოდებით გამართონ მასიური კამპანია სიკვდილმისჯილი გერმანელი მუშების გადასარჩენად. ისინი აფრთხილებენ გერმანიის მთავრობას, რომ მუშების მკვლელობა და სიკვდილით დასჯა სერიოზულ შედეგებს გამოიწვევს“. კონგრესი ერთხმად იწონებს პრეზიდიუმის წინადადებას.

შემდეგ **ბარბიუსი**, რომელსაც „ინტერნაციონალით“ ხვდებიან, ესალმება კონგრესს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო და საფრანგეთის კომიტეტების სახელით. ბარბიუსი აცხადებს, რომ ბრძოლა ომის წინააღმდეგ არის ბრძოლა კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ. ის მოუწოდებს კონგრესს არ გაანცალკევოს ანტიფაშისტური ბრძოლა ომის საფთრხის წინააღმდეგ ბრძოლისაგან და გამოსთქვამს სურვილს, რომ ანტიფაშისტურმა მოძრაობამ იმოქმედოს ამსტერდამის ომის საწინააღმდეგო კონგრესთან მჭიდროდ დაკავშირებით. ბარბიუსი მიუთითებს, რომ ფაშიზმი, სარგებლობს რა მოტყუებით და დემაგოგიით, მთელ თავის ძალღონეს ანდომებს წვრილი ბურჟუაზიის მობილიზაციას, და აცხადებს, რომ სწორედ ამიტომ ანტიფაშისტური მოძრაობის წინაშე დგას ამოცანა ამხილოს ფაშისტები, რათა დაარწმუნოს წვრილი ბურჟუაზია, რომ ფაშიზმი არის ბურჟუაზიის დიქტატურის ყველაზე საძაგელი ფორმა, მიმართული არა მარტო პროლეტარიატის წინააღმდეგ, არამედ გლეხობის და ქალაქის მთელი წვრილი ბურჟუაზიის წინააღმდეგაც. ანტიფაშისტურმა მოძრაობამ უნდა აწარმოოს გაძლიერებული ბრძოლა, გააერთიანოს ამ ბრძოლაში მშრომელი მასები და მშრომელი ინტელიგენციის მოსამსახურეთა და წვრილი ბურჟუაზიის მასები, ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ახალგაზრდობის უდიდესი როლი. ეს ბრძოლა უნდა სწარმოებდეს ლოზუნგით მხოლოდ მასიური ბრძოლის ერთიან ფრონტს შეუძლია უზრუნველყოს პროლეტარიატის გამარჯვება“ (ტაში).

### სამხრეთ-სლავიის დელეგაცია არ დაუშვეს კონგრესზე

**პარიზი**, 5 ივნისი. ანტიფაშისტური კონგრესის სხდომაზე ბარბიუსმა წაიკითხა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობამ ნება არ დართო მუშა-დელეგატებს ხორვატიის ნაციონალ-რევოლუციური ორგანიზაციის წარმომადგენლებს, აგრეთვე სლოვენიის სასოფლო-სამეურნეო მუშების წარმომადგენლებს — გამგზავრებულიყვნენ კონგრესზე, კონგრესის სახელით ბარბიუსი მიესალმა მათ და პროტესტი განაცხადა სამხრეთ-სლავიის მთავრობის ამ ზომის წინააღმდეგ.

კონგრესზე წარმოდგენილი ორგანიზაციების რიცხვს მიემხრენ აგრეთვე მშვიდობიანობისათვის მებრძოლი ლიგა და მაქსიმალისტური პარტია იტალიაში.

ბულგარეთის დელეგატმა აღწერა ფაშისტების სიმხეცე ბულგარეთში და აღნიშნა რევოლიუციური მოძრაობის გაძლიერება ბულგარეთის მშრომელ მასებს შორის, მათ რიცხვში გლეხთა შორისაც.

ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის კონგრესზე ჩამოვიდა 68 სხვა დელეგატთან ერთად იმისათვის, რომ გამოსხატოს სოლიდარობა გერმანიის მშრომელების მიმართ. ინგლისის დელეგატმა შემდეგ თავის სიტყვაში ამხილა ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელების გამცემლური ტაქტიკა. მის გამოსვლას დიდი წარმატება ხვდა.

ესპანეთის დელეგატმა **კალანმა**, ბერენგერის მთავრობის დროს მოკლული კალანის ძმამ, ამხილა სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა, რომლის ტაქტიკა ხელს უწყობდა ფაშიზმის ინტერესებს. ესპანეთის დელეგატმა მიუთითა, რომ ესპანეთში დაპატიმრებულია 9.000 რევოლიუციონერი მუშა და გლეხი და რომ, ტერორის მიუხედავად, ესპანელი მშრომელები აქტიურ ბრძოლას აწარმოებენ ფაშიზმის წინააღმდეგ.

ბელგიის პარლამენტის კომუნისტ-დეპუტატმა **ლაჰომ** განაცხადა, რომ კონგრესს ესწრება დაახლოვებით 120 ბელგიელი დეპუტატი, ზოგიერთი მათგანი ფეხით ჩამოვიდა. ლაგომ აღნიშნა, რომ სოციალისტური პარტიის ბელადების წინააღმდეგობის მიუხედავად, პირველ მაისს ლიეჟში მუშებმა, რომლებიც სხვადასხვა პარტიას ეკუთვნიან, მოაწყეს დემონსტრაცია გერმანიის წარმომადგენლობის შენობის წინ და ჩამოგლიჯეს იქ ფაშისტური დროშა. საყოველთაო აღფრთოვანების ატმოსფერაში ლაგომ დახია ნაციონალ-სოციალისტური ემბლემა. დელეგატები ფეხზე ადგომით ესალმებიან ბელგიის წარმომადგენელს და ასრულებენ „ინტერნაციონალს“.

სოციალისტ-დელეგატებმა, 200 კაცის შემადგენლობით, მათ შორის ბელგიის, ინგლისის წარმომადგენლებმა და გერმანიის და საფრანგეთის მრავალრიცხოვანმა წარმომადგენლებმა, მოაწყვეს ცალკე კრება, რომელზედაც განიხილეს დეკლარაცია ერთიანი ფრონტის შესახებ და აირჩიეს ამსრულებელი კომისია.

### ანტი-ფაშისტური მოძრაობის მეთოდების საკითხი

**პარიზი**, 6 ივნისი. ანტიფაშისტური კონგრესის მეორე დღე მიეძღვნა ანტიფაშისტური მოძრაობის ხელმძღვანელობის მეთოდების საკითხს. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის წევრმა ბერჟერიმ (რომელიც ამ ცოტა ხნის წინად გამოვიდა რადიკალ-სოციალისტების პარტიიდან), აღნიშნა, რომ ძირითადი ამოცანაა მივაღწიოთ მოქმედების ერთიანობას, მოვიცვათ როგორც კომუნისტ, ისე სოციალისტ მუშების მასები და მივიმხროთ წვრილი ბურჟუაზია, რომელიც პროლეტარიზაციის გზაზე იმყოფება და რომელსაც ახლა ფაშიზმის რიგებში აბამენ. ბერჟერიმ განაცხადა, რომ ანტიფაშისტურმა მოძრაობამ უნდა მოიცვას სოციალისტური პარტიის წევრთა 60 პროც., ბერჟერი წინადადებას იძლევა დავკმაყოფილდეთ ანტიფაშისტური მოძრაობის მოწყობით ცალკე ქვეყნებში, და არა საერთაშორისო მაშტაბით, რასაც უმთავრესად იმით ასაბუთებს, რომ ორგანიზაციის ასეთი ფორმა, მისი აზრით, უზრუნველყოფს ანტიფაშისტური მოძრაობის დიდ წარმატებას რეფორმისტებს შორის.

შემდეგ გამოვიდა გერმანიის კომპარტიის წარმომადგენელი ამხ. მაიერი. მან ამხილა გერმანიის სოციალდემოკრატიული და რეფორმისტული ბელადების გამცემლობა, რომელთაც უარი თქვეს ერთიან ფრონტზე, და დაარწმუნა კონგრესი, რომ გერმანიის პროლეტარიატი გამსჭვალულია ბრძოლის მტკიცე ნებისყოფით. ამ განცხადებას მქუხარე ოვაციებით შეხვდენ.

### ამხ. დორიოს გამოსვლა

კონგრესის პრეზიდიუმის სახელით ბერჟერის საპასუხოდ გამოვიდა ამხ. დორიო. მან განაცხადა, რომ ბერჟერის გადასვლა ბურჟუაზიის ბანაკიდან პროლეტარიატის ბანაკში მოწონების ღირსია. პრინციპულად კონგრესის თვალსაზრისზე დგას და უთანხმოება მხოლოდ ტაქტიკურ მომენტებს ეხება.

კონგრესის ინიციატორებმა ფართო მოწოდებით მიმართეს მუშურ და სოციალისტურ ორგანიზაციებს:

მიუხედავად იმისა, რომ კონგრესი აშკარად არ არის მხოლოდ კომუნისტური, სოციალისტურმა პარტიამ მთლიანად პასუხი არ გასცა მოწოდებაზე. მხოლოდ ხანგრძლივი ცდის შემდეგ ამ პარტიის 12—15 პროცენტი მიემხრო ერთიან ფრონტს. ბერჟერს არ შეეშინდა მოსულიყო კონგრესზე, მაგრამ ზოგიერთი მისი სოციალისტ-მეგობარი არ გამოცხადებულა. სოციალისტი მონსე, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ამსტერდამის კონგრესში, ანტიფაშისტურ კონგრესზე არ მოვიდა. პასუხისმგებლობა ასეთი მდგომარეობისათვის აწვება კონგრესის ინიციატორებს. იგი გამოწვეულია სოციალისტების საერთო შეხედულებით ანტიფაშისტურ ბრძოლაზე.

ლაპარაკია ისეთ ადამიანებზე, რომელთაც არავითარ შემთხვევაში არ სურთ ერთიანი ფრონტი კომუნისტებთან. ილუზია იქნებოდა იმის ფიქრი, რომ საკმარისია სხვა ფორმაში ჩამოვაყალიბოთ წინადადება ერთიანი ფრონტის შესახებ, რათა მასში ჩავაბათ ეს ადამიანები. მათ აშინებს არა ფორმა, არამედ თვით საქმის არსება. ისინი არ ემხრობიან ერთიან ფრონტს იმიტომ, რომ იციან: ეს ფრონტი მიმართულია კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მაშინ როცა ისინი პირველ ყოვლისა წარმოადგენენ კაპიტალიზმის დამცველებს.

# საკავშირო. დეპეშათა სააგენტო უარყოფს

კიოკუცუს სააგენტო მანჯურიაში ავრცელებს ცნობებს ციციკარის და მუკდენის საბჭოთა საკონსულოების დახურვისა და ევაკუაციისათვის მზადების შესახებ. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ინფორმაცია წარმოადგენს ბოროტ განზრახვით შეთხზულ ჭორს და არ შეეფერება სინამდვილეს (ადს).

# ავღანისტანის ელჩის მოკვლა ბერლინში

**ბერლინი**, 6 ივნისი. დღეს ბერლინში, ავღანისტანის საელჩოს შენობაში, ბერლინში მოსწავლე ავღანელმა ქემალ-სეიდმა ხუთჯერ ესროლა რევოლვერი ავღანისტანის ბერლინელ ელჩს მუხამედ-აზიზ-ხანს, რომელიც წინად იყო ავღანისტანის ელჩად მოსკოვში. ელჩი მძიმედ დაიჭრა და საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ მალე გარდაიცვალა ისე, რომ გონებაზე არ მოსულა. ერთ-ერთი ტყვიით თავში დაიჭრა ელჩის ნათესავი სტუდენტი მუხამედ-ატიკი, რომელიც მასთან სტუმრად იყო.

გაზეთების ცნობით, თავდასხმა მუხამედ-აზიზ-ხანზე მოხდა პოლიტიკური მოტივებით. თავდამსხმელი თავდასხმის წინ უსაყვედურებდა აზიზ-ხანს, რომ მან ხელი შეუწყო „ავღანისტანის ინგლისისადმი დამორჩილებას“. ქემალ-სეიდი დაუყოვნებლივ დააკავეს პოლიციელებს, რომლებმაც იგი დააპატიმრეს, ქემალ-სეიდმა განუცხადა, რომ სრულიადაც არ ნანობს თვის საქციელს და რომ იგი მზადაა მოკვდეს „ამ თავდასხმისათვის და მაშასადამე თავის სამშობლოსათვის“ (ადს).

# საგაზეთო შენიშვნებზე გამოხმაურების შესახებ

## საქ. ცენტრალურ საკონტროლო კ.-მისია-მუშგლეხინთან შემდგარ თათბირის რეზოლიუცია

რესპუბლიკანური გაზეთების გამოკვლევათა ბიუროების, თბილისის რაისაკონტროლო კომისია-მუშგლეხინის თავმჯდომარეების, პროკურატურის ორგანოების და მილიციის მთავარ სამმართველოს ოპერატიული განყოფილების წარმომადგენლების თათბირი, ა.-კ. სამხარეო საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის, სამხარეო გაზეთების „ზარია ვოსტოკა“-ს, „მოლოდოი რაბოჩი“-ს წარმომადგენლებთან და (ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ჯგუფების ხელმძღვანელებთან ერთად, რომელმაც მოისმინა ამხ. სტურუას ინფორმაცია მუშათა და კოლმეურნეთა წერილების და კორესპონდენციების გამოკვლევის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მუშგლეხკორთა წერილებსა და შენიშვნებზე დროიანად გამოხმაურებას აქვს უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა,—ამ საქმეს ახასიათებს მთელი რიგი სერიოზული დეფექტები, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ აღმოფხვრას. აღნიშნული დეფექტები გამოიხატება იმაში, რომ შენიშვნების გამოკვლევა ხდება ნელი ტემპით, ხოლო უმეტეს შემთხვევაში ისინი სრულიად უყურადღებოდ რჩება, არ სწარმოებს შენიშვნების და წერილების გამოკვლევის აღრიცხვა, ადგილი აქვს პარალელიზმს შენიშვნებსა და წერილებზე გამოხმაურების საქმეში, არ სწარმოებს გამოკვლევის შედეგად მიღებულ წინადადებათა შესრულების კონტროლი და სხვ.

იმ მიზნით, რომ მოგვარდეს მუშათა და კოლმეურნეთა წერილების, შენიშვნების და მუშგლეხკორთა კორესპონდენციების გამოკვლევის საქმე, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მეექვსე პლენუმის გადაწყვეტილების, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემდგომი დადგენილების საფუძველზე და ა.-კ. სამხარეო საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის და საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის დადგენილებათა განსავითარებლად, საჭიროდ იქნას ცნობილი:

1 ორგანიზაცია მუშათა და კოლმეურნეთა წერილებზე, შენიშვნებზე და მუშგლეხკორთა კორესპონდენციებზე (როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ) გამოხმაურების მეთვალყურეობის საქმეში, ადგილებზე აღნიშნული მუშაობის დაყენების შემოწმება, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ოპერატიული ჯგუფების მხრით აღნიშნულ წერილებსა და შენიშვნებზე დროიანად გამოხმაურების კონტროლი, იმის სისტემატიური შეჯიბრება, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა წერილების და შენიშვნების ეფექტიანობისათვის ბრძოლის საქმეში,—დაეკისროს საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას.

2. დაწესდეს, რომ რესპუბლიკანური და სამხარეო გაზეთები გზავნიან საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინში მუშათა და კოლმეურნეთა გამოუქვეყნებელ წერილებს და მუშგლეხკორთა შენიშვნებს და კორესპონდენციებს მხოლოდ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მოითხოვენ ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის უშუალო ჩარევას საქმეში—მასალები რაიონული ხელმძღვანელობის შესახებ (რაიკომი, რაიაღმასკომის პრეზიდიუმი, რაისაკონტროლო კომისია-მუშგლეხინი) და მასალები, რომლებიც ახასიათებენ ცალკე რესპუბლიკანური ორგანიზაციების, და თანამდებობის პირთა ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას შენიშვნებისადმი.

3. პასუხისმგებლობა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ გაზეთებში ადგილობრივ ორგანოების შესახებ მოთავსებულ შენიშვნებზე დროიანად გამოხმაურებისათვის ეკისრება შესაფერ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებსაც ეხება ეს შენიშვნები (ისე, რომ მათ არ დასჭირდეს გახსენება მათ შესახებ).

4. შემოღებულ იქნას, როგორც წესი, რომ წერილებსა და შენიშვნებზე პასუხს იძლევიან ის ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც ისინი ეხება, და სათანადო საკონტროლო კომისია-მუშგლეხინები. ამასთან წინადადება მიეცეს გაზეთების რედაქციებს როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი შენიშვნები და წერილები უშუალოდ გაუგზავნონ გამოსაკვლევად საოლქო, საქალაქო და სარაიონო საკონტროლო კომისია-მუშგლეხინებს და პროკურატურის ორგანოებს, რომლებიც, პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად, ვალდებული არიან შეუთანხმონ ერთმანეთს მუშაობა საგაზეთო შენიშვნებზე გამოხმაურების საქმეში.

იმ შემთხვევაში, როცა შენიშვნები ეგზავნება პროკურატურის ორგანოებს, რედაქცია, პარალელიზმის თავიდან აცილების მიზნით, აცნობებს ამას საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს, რომელიც იღებს ამ შენიშვნას აღრიცხვაზე და აწესებს კონტროლს მის ეფექტიანობაზე.

5. საქართველოს ცენტრალურ-კომისია-მუშგლეხინის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებამ ყოველკვარტალურად შეადგინოს მიმოხილვა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ბრძოლა შენიშვნების ეფექტიანობისათვის, ამასთან ჩააბას ამ მუშაობაში გაზეთების რედაქციების გამოკვლევათა ბიუროები.

6. წინადადება მიეცეს მილიციის მთავარ სამმართველოს, მილიციის მთავარ სამმართველოს ოპერატიულ განყოფილებას, რესპუბლიკანურ საოლქო საქალაქო და სარაიონო დაწესებულებების და ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელებს გამოყონ თავის აპარატებში სპეციალური პირები და დააკისრონ მათ პერსონალური პასუხისმგებლობა მუშგლეხკორთა შენიშვნებზე გამოხმაურებისათვის, ხოლო იმ ორგანიზაციებმა, რომლებსაც ჰყავთ შესრულების შემმოწმებელი ჯგუფები ან მუშაკები, ეს მუშაობა დააკისრონ ამ უკანასკნელებს. დაევალოს შესრულების შემოწმების სექტორებს და მუშაკებს დაუყოვნებლივ გამოეხმაურონ მუშგლეხკორთა შენიშვნებს და გამოკვლევის შედეგები აცნობონ გაზეთების რედაქციებს, ხოლო ასლები გადაუგზავნონ საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას.

7 წინადადება მიეცეს გაზეთების რედაქციების გამოკვლევათა ბიუროებს, რესპუბლიკის და თბილისის პროკურატურას, მილიციის მთავარ სამმართველოს, მილიციის მთავარ სამმართველოს ოპერატიულ განყოფილებას ყოველკვარტალურად წარუდგინონ საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს შემდეგი ცნობები გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებზე გამოხმაურების შესახებ; აღრიცხვაზე აღებულ შენიშვნების რაოდენობა, დადასტურებულ შენიშვნების რაოდენობა და მათი გამოკვლევის შედეგები.

8. ისეთ შემთხვევების შესახებ, როცა ადგილი ექნება ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას შენიშვნებისადმი როგორც მუშგლეხინის ოპერატიული ჯგუფების მხრით, ისე სხვა ორგანიზაციების და ცალკე პირების მხრით, სისტემატიურად დაისვას საკითხი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე მათი პასუხისგებაში მისაცემად.

# ქ რ ო ნ ი კ ა

● გაიხსნა ა.-კ. კულტთათბირი, მოწვეული ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს კულტმასიური განყოფილების მიერ. თათბირმა იქონია მსჯელობა კლუბების საზამთრო მუშაობის შედეგებზე; თათბირმა მოისმინა აგრეთვე რესპუბლიკანური განსახკომების მოხსენება საკ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილების რეალიზაციაზე დაწყებითი და საშუალო სკოლების და წერა-კითხ. უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ (ადს).

● ა.-კ. პროფსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკების პროფსაბჭოებს 15 ივნისიდან ჩაატარონ საზოგადოებრივი კვების დახურული ქსელის მასიური თვითშემოწმება.

თვითშემოწმება უნდა შეეხოს რესპუბლიკების დედა ქალაქებს, სამრეწველო ცენტრებს და ახალმშენებლობებს და აგრეთვე მსხვილ საბჭოთა მეურნეობებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს.

8 ივნისს, დილის 8 საათზე, პედაგოგიურ-პედოლოგიურ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შენობაში (კამოს ქ. № 59) შესდგება მოხსენება მასწავლებლებისათვის შემდეგ თემაზე „სახელთა ანალიზის წესები ქართულში“, (მომხს. არნ. ჩიქობავა).

ამავე შენობაში 9 ივნისს, დილის 10 საათზე, ამხ. კ. კონიაშვილი გააკეთებს მოხსენებას თემაზე „ფიზიკის სწავლების შედეგები ტფილისის სკოლებში“.

# პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ლენინრაიკომი იუწყება, რომ 8 ივნისს, საღ. 7 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში მოწვეულია ლენრაიონის მეორე კულტპროპკონფერენცია, რომლის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) შემოდგომა-ზამთრის პარტსწავლების შედეგები და პედგანათლების საზაფხულო ქსელის ამოცანები, 2) კომკავშირის პოლიტსწავლების მდგომარეობა.

ყველა უჯრედების მდივნების, კულტპროპორგანიზატორების, პროპაგანდისტების, სკოლების მამასახლისების და დამკვრელ მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

# ესტონეთის ელჩი ბათომში

მოსკოვში [illegible] ესტონეთის ელჩი ბ. სელიამე [illegible] გურში ბ. სელიამეს შეხვდა დიპლომატიური აგენტი ამხ. სიდოკინი.

ბ. სელიამემ დაათვალიერა ბათომი და მისი მიდამოები და გეოგრაფიულად ღირსშესანიშნავი ადგილები. ბ. სელიამეს ყურადღება მიიპყრო ქალაქის კეთილმოწყობამ და სამრეწველო მშენებლობის ზრდამ ბათომში.

ბ-ნი სელიამე გაემგზავრა გემით „არმენია“. (ადს).

# ოფიციალური განყოფილება

### დადგენილება

### საქართველოს სოც. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიწოდების ვალდებულებათა ჩაბარების შედეგების შემოწმების შესახებ

ვინაიდან კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ „სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული საკავშირო სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წ. მარტის 25-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-10 ნომერში, მუხ. 136) განხორციელების დროს ხდება ხოლმე უხეში შეცდომები სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიწოდების ვალდებულებათა მეურნეობებისათვის ჩაბარების საქმეში (რაიონის მთლად ნათესი ფართობის დაბეგვრა და ცალკეულ მცირეძალოვან მეურნეობებზე შეღავათების გადაცილებლობა, — შეცდომები გამოანგარიშებაში, ჩაბარების ორი ნორმის დაწესება იმ კოლექტიური მეურნეობებისათვის, რომელთაც მომსახურებას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ, მარცვლეულის ჩაბარებისას ნათესი ფართობების არასწორი აღრიცხვა და სხვა მისთ.), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, „1933 წლის ივნისის თვის მარცვლეულის და ბრინჯის მიწოდების ვალდებულებათა ჩაბარების შედეგების შესახებ“ გამოცემული ა.-კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 3-ის დადგენილების შესასრულებლად, ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) დაუყოვნებლივ მოაწყონ სარაიონო კომისიები სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიწოდების ვალდებულებათა ჩაბარების შედეგების შესამოწმებლად — სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების კომიტეტის სარაიონო რწმუნებულისა, სარაიონო სახელმწიფო [illegible] განყოფილების გამგის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორის შემადგენლობით;

ბ) დაუყოვნებლივ მოაწყონ სასოფლო საბჭოებთან სარაიონო კომისიების ხელმძღვანელობით მომქმედი სასოფლო კომისიები სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე იმავე მუშაობის ჩასატარებლად, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და სასოფლო საბჭოს ორი წევრის შემადგენლობით;

გ) მოახდინონ საჭირო ტექნიკური აპარატის მობილიზაცია შემმოწმებელი მუშაობის ჩასატარებლად.

ზემოაღნიშნულმა კომისიებმა უნდა მოახდინონ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიწოდების ვალდებულებათა შეფასებისა და ჩაბარების ხაზით წარმოებული მუშაობის მთლიანი შემოწმება.

2. [illegible] პროდუქტების დამზადების კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში.

ა) გაუწიოს უშუალო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიწოდების ვალდებულებათა ჩაბარების შემოწმების ხაზით სწარმოებულ მთელ მუშაობას რესპუბლიკაში, რისთვისაც გამოყოს თავის აპარატის და მისი ქვემდებარე ორგანიზაციების აპარატიდან მომუშავეები საჭირო რიცხვით ადგილებზე გასაგზავნად;

ბ) გამოსცეს ინსტრუქცია 1-ლ მუხლში აღნიშნული კომისიებისათვის;

გ) იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა ჩამორჩენილ რაიონებში დაუყოვნებლივ დამთავრებულ იქნეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიწოდების ვალდებულებათა ჩაბარება.

3. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიწოდების ვალდებულებათა ჩაბარების შედეგების შემოწმება დამთავრებულ იქნეს 1933 წ. ივნისის 25-თვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავ-რე **გ. მგალობლიშვილი**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **რ. შოშიაშვილი** (?)


| ხახქინმრეწვის კინო-თეატრები: | |
|---|---|
| დამკვრელი 9, 11. | მხატვრული ფილმი ისინი ჯერაც თვალი აეხილა |
| ეთერი 9, 11 | საზღვარგარეთელი ფილმი 11 ეშმაკი პრ. გარ.—სკვ. № 3. |
| ტემპი (ყ. დარბაზი) 9, 11 | არმენკინოს ნაწარმოები ხ ა ზ - პ უ შ |
| ოქტომბერი 7, 8-45, 10-30. | მხატვრული ფილმი ახალი ცხოვრებისაკენ |
| დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11. | I სერია კინო-რომანისა მის-მენდ პროგ. გარეშე—ს. კ. ქ. № 11 |
| რ. ლიუქსემბურგის 7, 9, 11 | ხმოვანი კინო რომანი გარეუბანი პრ. გარ. სკვ № 10 |
| სპარტაკი 6-30, 8-30, 10-30 | სათავგადასავალო ფილმი ფიჩვები ხმაურობენ (ატამანი ოსა) |
| საბავშვო კინო დღის 12 და 2 საათზე | საბავშვო ფილმი ვანკა და შურის მაძიებელი |
| მეცნიერება ტ ტექნიკა 8, 9-30 | ეთნოგრაფ. ფილმი. მ ო ნ ღ ო ლ ე თ ი |

**ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აფრთხილებს**

ყველა მათ, ვისაც დამთავრებული აქვთ 1922 წლიდან 1930 წლამდე უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი და 1930 წლიდან 1932 წლის ჩათვლით საფინანსო ეკონომიური ინსტიტუტი, რომ უკანასკნელი ვადა დიპლომების წაღებისა არის ა. წ. 25 ივნისი, რის შემდეგ დამზადებული დიპლომები გადაეცემა არქივს და უნივერსიტეტი არავითარ ცნობებს აღარ გასცემს.

2—2 794 ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კადრების სექტორი.

**ხელის მომწერთა საყურადღებოთ**

საქ. „სოიუზპეჩატი“-ს ხელის მოწერის კანტორასთან (რუსთაველის პროსპ. № 6) **დაარსებულია საჩივარო საკონტროლო ბიურო.**

პერიოდულ გამოცემებზე „სოიუზპეჩატი“-ს რაიონულ და ქალაქის ბიუროებში შეტანილი საჩივრების თავის დროზე პასუხის გაუცემლობის და ჟურნალ-გაზეთების უწესოდ მოწოდების შემთხვევაში გთხოვთ მიმართოთ ხსენებულ კანტორას.

3—3 უფ. ხელის მოწერის კანტორა.

ექიმი **მ. თ. რობიტაშვილი** თვალის სნეულებანი. მიღება 6—8 საათამდი. გოგოლის ქუჩა № 10. 171 713—

ექ. ლ. ა. ფალავა შარდ-სასქესო, სიფილისი, ვენერიული ტ კანის მიღ. საღ. 7-9 ს. კ. ცეტკინის ქ. № 148 (რ/გზის დირექციის ახლოს) 13—1

ექიმი **ე. ბ. ხუციშვილი** მეანობა და ქალთა სნეულებანი. მიღება 5—7 საათამდე. ბარონოვის (გუნიბის) ქუჩა № 26.

**ყველა წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და დამხმარე კომისიებს**

„მეორე ხუთწლედის სესხის“ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით ევალებათ ყველა წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს:

1. გამოჰყონ საანგარიშო აპარატიდან პასუხისმგებელი პირი, რომელსაც დავალებული ექნება სესხის ანგარიშსწორება.

2, დააწესონ თითოეულ ხელის მომწერის მორიგი შენატანის თანხა დაწყებული ა/წ ივნისის თვის პირველ ნახევრის ხელფასიდან, 1924 წლის აპრილის თვის მეორე ნახევრის ჩართვით—თანასწორ ნაწილებათ.

3. ხელფასის წინდაწინ გაცემის (შვებულება, მივლინება) შემთხვევაში აწარმოონ სესხის მორიგი შენატანების დაკავება.

**დამხმარე კომისიებს ევალებათ იქონიონ მეთვალყურეობა, რომ კოლექტივიდან გასვლისას, ხელის მომწერს ექლეოდეს ხელზე ობლიგაციები გადახდილი თანხის რაოდენობით** (ამ მიზნით კოლექტივები შემნახველ სალაროდან ავანსად მიიღებენ ობლიგაციებს).

კოლექტივის საანგარიშო აპარატის არადამაკმაყოფილებლად მუშაობის შემთხვევებში დამხმარე კომისიებს ევალებათ საკითხი დასვან ფაბ.-ქარხ. ადგილკომში, აცნობონ ზემდგომ დამხმარე კომისიას და შემნახველ სალაროების და სახკრედის სამმართველოს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

**„მეოთხე დამამთავრებელი წლის“ სესხის ანგარიშსწორების ვადის დამთავრების გამო კოლექტივების ადმინისტრაციებს და დამხმარე კომისიებს ევალებათ ა/წ 15 ივნისამდე დაამთავრონ ყველა ხელის მომწერლებზე ობლიგაციების დარიგება.**

საქართ. ცაკის პრეზიდიუმთან არსებულ სახკრედ. და საშემნ. საქმის ცენტრ. დამხმარე კომისიის თავმჯდომარე **ხომერიკი.**

საქ. ფინსახკ: კოლეგ. წევრი შრ. შემსალ. და სახკრედ. სამმართველოს უფროსი **შონია.** ნ. 78

განათლ. სახკომისარიატის ნებართვით ზაფხულში **ვამზადებთ მოწაფეებს** უმაღლ. სასწ.-ში, ტექნიკუმებში და მუშფაკებში შესასვლელ საკონკურსო გამოცდებისათვის. პირობები გაიგება: თბილისი, კარგარეთელის ქ. № 3-ა 1-ლი სართული მარცხნივ (ყოფ. პირაგოვის ქ.) კინო „ოქტომბრის“ მახლობლად. ნახვა: დილით 8 ს-მდე, საღ. 4—7 ს-მდე. 571

ექიმი **ტერ-ოვანესოვი** განაახლა მიღება ნევროზები (სქესობრივი ფუნქციონალური ნერვიული მოშლილობა) და სიფილისის პსიხოტერაპია დილის 11—12 ს., საღ. 7—8 ს. ა-კ. ფედერაციის ქ. (ყ. ველიამინოვის) № 22. 10—1 1007

**განახლდა დადგმა ახალი ცხოვრებისაკენ**

ნახეთ 7 მაისიდან კინო ოქტომბერში უხმო ვარიანტი ცნობილი ფილმისა **ახალი ცხოვრებისაკენ** რეჟისორი ნ. შენგელაია კომპოზიტორი ი. ტოლჩიარი ნახეთ **=ახალი= ცხოვრებისაკენ** ნ. 79

ა/წ 10 ივნისიდან № 8 კურსებთან იხსნება **ტექნიკუმებისათვის მოსამზადებელი კურსები** ცნობების მიღება შეიძლება კეცხოველის ქ. № 12 სამრეწველო-ეკონომიურ ტექნიკუმში. იქვე იხსნება **უმაღლეს სასწავლებლისათვის** მოსამზადებელი ახალი ჯგუფი. 814 დირექცია.

მეუღლე კატო, შვილები ბაბილო, ანიჩკა, ნუცა, ნადია, რაჟდენი, გრიშა, შალვა მეუღლით, სიძეები ილია ფალავა, პარმენ სიგუა, გიორგი კაპანაძე იუწყებიან **პავლე ანდრიას-ძე გეგეჭკორის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ხონში 8 ივნისს

მამა ლევან ქოჩიაშვილი, დედა ნინა შვილებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი შვილის **პატარა თენგიზის** უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე ფოთის ქ. № 37 ვერის სასაფლაოზე. 808

დამწუხრებულნი: და კესარია, სიძე ალექსი, დისწულები შალვა და პავლე მანჯავიძეები ცოლშვილით იუწყებიან ძვირფას და დაუვიწყარ **გარბალე ვახუშტის ას. მაღრაძის** გარდაცვალებას. ნ. 78

გაუბედურებული მეუღლე ვასილ, შვილებით: ალიოშა, ნადია, სერიოჟა, დათუშა აუწყებენ ნათესავს და ნაცნობ მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ **ელიკო ხვანიძე-ჩირგაძისა** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 8 ივნისს გამოსვენება 6 ს. ოქტომბრის რევოლიუციის ქ. (მე-4 შესახვევიდან). 813

დორა, რატიანა, ანიკო, ალიო, ბიქტორი, გერმანე, შალიკო და ვლადიმერ მერცხულავები ღრმა მწუხარებით აღნიშნავენ **მარო კორტავა-გოგუაძის** უდროოდ გარდაცვალებას. 821

უახლოესი ამხანაგები ქ. რუეცკაია, თ. ნიკოლოზაშვილი, ბ. კალანდარიშვილი, ე. ლითანიშვილი, ლ. მელიქიშვილი. კ. წერეთელი, ნ. ქურდევანიძე, შ. ბებიაშვილი, ვ. მესხი, ნ. პატიაშვილი, ქ. ჯაფარიძე, ირა და ეთერი ქავთარაძეები. მ. ინაური, ა. სუხიშვილი იუწყებიან ამხანაგის **რაისა კომახიძის** უდროოდ გარდაცვალებას. 818

მარიამ ჩხეიძე, სოფიო ჩიკვაიძისა შვილებით, ნინა პლიშევსკისა ქმრით, თამარ ბაგრატიონ - დავითიშვილისა ქმარ-შვილით. ელენე ფალავასი ქმარშვილით, იუწყებიან ძვირფასი სიძის **ალექსანდრე ალექსის-ძე ქლენტის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9 ივნისს 5 ს. ძნელაძის ქ. № 18. 815

უახლოესი მეგობრები ტატულია, შალიკო მაჭავარიანები, დათიკო ფანცხავა, კოტია გიორგობიანი, შოთიკო ხემსიწვერიძე, საქრო მაჭავარიანი, კუკიკო დადიანი, ტიტე აბდუშელიშვილი იუწყებიან მეგობრის ალიოშა ჩირგაძის დედის **ელიკო ჩირგაძის** გარდაცვალებას. 813

მელიტონი, ვასო, აპოლონი, ირაკლი, ანდრია ბალანჩივაძეები, ნინა კორძაია, ქეთო ქექმაძისა, თამარა ბალანჩივაძე ოჯახობით მწუხარებით იუწყებიან, რომ კრასნოდარში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი დისშვილი და მამიდაშვილი **ლეო მინასის ძე ჭავჭანიძე** 809

„ზუქტრანსპორტი“-ს გამგეობა და მუშამოსამსახურეები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ **გიორგი დავითის-ძე კაციტაძის** უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება 8 ივნისს 4 საათზე ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე. 817

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ნინო, შვილი მარგო, დედა სონია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დაჰკარგეს მათთვის უძვირფასესი **გიორგი სერგეის-ძე მილოვი** სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 საათზე. გამოსვენება 9 ივნისს 5 ს, მუზეუმის № 5.

დამწუხრებულნი მეუღლე დარო, შვილები: შალიკო ცოლშვილით, ნინო, მარინე მენთეშაშვილები, სიძე ბესო კოკილაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარ **სოლიკო მენთეშაშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება ქვემო-მაჩხაანში. 805

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ეკატერინე ნიკოლოზის ასული, შვილები შურა და ნინა იუწყებიან ძვირფასი და დაუვიწყარი **ალექსანდრე ალექსის-ძე ქლენტის** გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 საათზე, გამოსვენება 9 ივნისს 5 ს. ძნელაძის ქ. № 18. ვერის სასაფლაოზე. 815

დამწუხრებული ქმარი ბიქტორი შვილებით შურა, რეზო, დალილა, ძმები ხარიტონ. ისაკი, გალა, იროდი, ლავრენტი, დები გუგუშა, ფაშუ კორტავეები იუწყებიან **მარო კორტავა-გოგუაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8 ივნისს. გამოსვენება—პუშკინის ქ. № 29. 816

სამუდამოდ გულმოკლული დედა ხინო, მამა ლადო პატარა რეზიკოთი, ბებია სუსანა, ბიძა გოგი ტოგონიძეები იუწყებიან პატარა **თემიკო ნათაძის** უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება 9 ივნისს ანტონოვის ქ. № 59, კუკიის სასაფლაოზე. 807

დამწუხრებული დედა ელენა, და ვენერა, ძმა ბიქტორი, სიძე ქსენეფორე ცოლშვილით. ჭოლია, იროდი მიქაძეები იუწყებიან, რომ 10 ივნისს 3 საათზე, ს. ზანაში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი **იანი კოკაიას** ხსოვნის აღსანიშნავად. 804

ნიკოლოზ, ვერა, ლიუბა, ელენე ლომინაძეები, რძალი ქეთო, სიძე ესტატე ხუციშვილი, შვილიშვილი ნათელა, გაზრდილი შალიკო დოლაბერიძე იუწყებიან საყვარელ დედის **მარიამ (პასიკო) ლომინაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 8 ივნისს. 820

სენაკის სას.-სამ. ტექნიკუმის თანამშრომლები: შუშანია, სარჩიმელია, თოფურია, ლ. ლომია, შონია, კეკელია, ხუროძე, ბულავა. ლორთქიფანიძე, თათარიშვილი, დგებუაძე, გუგუნავა, ჭანტურია იუწყებიან გრიშა ლომიას ძმის **კოლია პეტრეს-ძე ლ ო მ ი ა ს** უდროოდ გარდაცვალებას. 827

გაუბედურებული დედა მინა, ძმები შალვა, გრიგოლი, დები მაშიკო, მარგალიტა, რძალი ვერა, ძმისშვილი იროჩკა იუწყებიან, რომ 12 ივნისს აკეთში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უსაყვარლეს **მარიამ ბაჟუნაიშვილის** ხსოვნის აღსანიშნავად. 810

დამწუხრებული მარგალიტა სვანიძე-კიკნაძისა, დედა სოფიო სვანიძის იუწყებიან რომ 8 ივნისს საღ. 5 საათ. ავლაბარის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ მეგობრის და სიძის **იოსებ ილარიონის-ძე კიკნაძის** ხსოვნის აღსანიშნავად. 819

შალიკო და თამარა ბარამიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი დეიდაშვილის **რაისა კომახიძის** უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 8 ივნისს დღის 5 საათზე, წულუკიძის ქ. № 4. 822

დამწუხრებული მშობლები გიორგი, აგრაფინა, ბებია ლიზა. ბიძა გრიგორი ცოლშვილით, მამიდა თამარა წულუკიძეები იუწყებიან მათთვის უძვირფასესი პატარა **ლამარა გიორგის ას. წულუკიძის** უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 8 ივნისს, 5 საათზე—ორჯონიკიძის ქ. 94. 824

უახლოესი მეგობრები ნიკოლოზ სინჯიკაშვილი, გიორგი მხეიძე, სერგო გრიგოლაშვილი, შალვა თევზაძე იუწყებიან ამხ ლევანის შვილის **თენგიზა ქოჩიაშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება—ფოთის ქ. № 37. 8 ივნისს, 4 საათზე, ვერის სასაფლაოზე. 802

დამწუხრებული მამიდა მაშიკო მამიდაშვილები ივლიანე, ტარასი, ზაქო, ბიძა პარმენი, ბიძაშვილები ვანო და გიგა იუწყებიან **გიორგი დავითის-ძე კაციტაძის** უდროოდ გარდაცვალებას გამოსვენება ბინიდან—სომხის ქ. № 19. 8 ივნისს, ავლაბრის სასაფლაოზე. 812

ვიქტორი შვილებით, ვასო ოჯახობით, ოანილი და თამარა ღლონტები მწუხარებით იუწყებიან მახლობელ ნათესავის **პავლე ანდრიას-ძე გეგეჭკორის** გარდაცვალებას. 82

ულრმეს მწუხარებაში მყოფი შვილები: ვლადიმერ ნესტორის-ძე, ოლიმპიადა და ლიდია. რძალი ემილია. შვილიშვილები გიორგი, ნინა, და რუსუდან ბაქრაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს საყვარელ დედის **ფატმან ვასილის ას. ბაქრაძის** გარდაცვალებას დასაფლავება 10 ივნისს, საღ. 5 საათზე. კალინინის ქ. № 84. უფ.


სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ., № 68. მთავლიტის რწმუნებული ა 1374